ფინანსთა მინისტრი ბანკებით ძალიან უკმაყოფილია!

— საქართველოს საბანკო სისტემა უნდა იყოს არა ეკონომიკის განვითარების მუხრუჭი, არამედ მისი მამოძრავებელი ძალა, თუმცა, სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში მივიღეთ რეალობა, სადაც ბანკები არ ასრულებენ ამ მამოძრავებელი ძალის ფუნქციას, — აცხადებს ფინანსთა მინისტრი მამუკა ბახტაძე.

საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჩმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

პარასკევი, 13 აპრილი. 2018 წ. №75 (8476), გამოცემის მე-100 წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ერდოღანმა, ტრამპმა და პუტინმა სირიის საკითხზე ტელეფონით ისაუბრეს და... მორჩა კინო!...

თურქეთის **პრეზიდენტმა** **რეჯეფ** **თაიფ** **ერდოღანმა** **რუსეთის** **პრეზიდენტთან** **ვლადიმერ** **პუტინთან** **სირიაში** **მიმდინარე** **ბოლო** **მოვლენები** **განიხილა.** **ამის** **შესახებ** **თურქეთის** **ლიდერის** **კანცელარია** **იუწყება.**

„პრეზიდენტმა **ერდოღანმა** **სატელეფონო** **მოლაპარაკებები** **გამართა** **რუსეთის** **პრეზიდენტთან.** **მათ** **გაცვალეს** **სირიაში** **ბოლო** **დროს** **მიმდინარე** **მოვლენებთან** **დაკავშირებით** **თავიანთი** **აზრები.** **ლიდერები** **შეთანხმდნენ,** **რომ** **მხარი** **დაუჭირონ** **მჭიდრო** **კონტაქტს** **ამ** **თემასთან** **დაკავშირებით“** — **აღნიშნავს** **წყარო.**

ერდოღანმა **ასევე** **სატელეფონო** **საუბარი** **განახორციელა** **აშშ-ის** **პრეზიდენტ** **დონალდ** **ტრამპთანაც,** **სადაც** **სირიის** **საკითხი** **განიხილეს.**

აშშ-ის **პრეზიდენტი** **დონალდ** **ტრამპი** **უკვე** **რამდენიმე** **დღეა,** **მწვავე** **განცხადებებს** **აკეთებს,** **რომ** **მიიღებს** **საომარი** **ხასიათის** **ზომებს** **სირიის** **ხელისუფლების** **წინააღმდეგ,** **ხოლო** **რუსეთის** **საგარეო** **საქმეთა** **სამინისტროში** **აცხადებენ,** **რომ** **უსაფუძვლო** **ვარაუდები** **ქიმიური** **ნივთიერების** **გამოყენების** **შესახებ** **სირიის** **ტერიტორიაზე** **მიმართულია** **გარედან** **საომარი** **დარტყმების** **გასამართლებლად.** **რუსული** **თავდაცვის** **მხარე** **სირიის** **ჯარის** **მხრიდან** **ქიმიური** **იარაღის** **გამოყენებას** **უარყოფს...**

საერთაშორისო პოლიტიკურ ვითარებას ისეთი პირი უჩანს, ამერიკა-ევროპის (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი) ფართომასშტაბიანი დაპირისპირება რუსეთთან „გაურკვეველი ვადით“ გადაიდო!

გიორგი კვირიკაშვილი: უმრავლესობის დაშლა კატეგორიულად გამორიცხულია!

უმრავლესობის **დაშლას** **კატეგორიულად** **გამოვრიცხავ,** — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მმართველ გუნდში არსებულ დაპირისპირებასთან დაკავშირებით განაცხადა. მისი თქმით, არანაირი მისი თუ სხვისი დაჯგუფება პარლამენტში არ არსებობს.

„იმ **რეალობიდან** **და** **დემოკრატიის** **სრულიად** **სხვა** **ხარისხიდან** **გამომდინარე,** **რომელიც** **დღეს** **ჩვენს** **ქვეყანაშია,** **მოლოდინები** **ძველი** **ტიპის** **უმრავლესობის** **თაობაზე** **პარლამენტში** **არის** **აბსოლუტურად** **დაუსაბუთებელი,** **მოძველებული.** **იმ** **რეალობაში,** **სადაც** **ჩვენ** **ვიმყოფებით,** **რა** **თქმა** **უნდა,** **იქნება** **აზრთა** **სხვადასხვაობაც.** **უმრავლესობის** **დაშლას** **კატეგორიულად** **გამოვრიცხავ.** **ეს** **არის** **პროცესი,** **რომელიც** **სასურველია** **ზოგიერთ** **შემთხვევაში** **არ** **გამოვიდეს** **გარეთ,** **მაგრამ** **არანაირი** **ჩემი** **დაჯგუფება** **თუ** **სხვისი** **დაჯგუფება** **პარლამენტში** **არ** **არსებობს.** **ეს** **მინდა** **ვუთხრა** **მათ** **შორის** **იმ** **ადამიანებსაც,** **რომლებიც** **ჩემი** **სახელით** **აპელირებენ** **საკუთარი** **მოსაზრებების** **არგუმენტირებისას** — **ნუ** **გააკეთებენ** **ამას** **იქიდან** **გამომდინარე,** **რომ** **ეს** **ერთიანობა** **არ** **არის** **მარტო** **„ქართული** **ოცნებისთვის“** **მნიშვნელოვანი.** **ეს** **სტაბილურობა** **არის** **უდიდესი** **მონაპოვარი** **ჩვენი** **ხელისუფლების** **და** **ამ** **სტაბილურობას** **ვერაფერი** **ვერ** **დაემუქრება** **საქართველოში“,** — განაცხადა კვირიკაშვილმა.

ანზორ თოთაძე: „სექსუალური შევიწროება“ ნამდვილად სჯობს... უტვინობას!

⑥

აპირებს თუ არა თურქეთი აჭარის დაპყრობას?..

⑤

რომელ ქვეყნებშია დამარხული ყველაზე მეტი აუფეთქებელი ბომბი?

⑧

◎ ახალი ფოლკლორი

სიმღერა „ფრიდომ ჰაუსზე“

„ფრიდომ ჰაუსი“ —
ჭორების აუზი,
ტყუილებს ავრცელებ,
აქედან აუსვი,
ეგ შენი ტალახი
მიშნაცებს წაუსვი,
მაღლა ნუ ეწევი,
ეგ დროშა დაუშვი.
დაბმული ძაღლები
სუყველა აუშვი.
დაე, იყეფონ,
ნებაზე გაუშვი.
არც ყეფას, არც ღრენას
არავინ არ უშლის.
„ფრიდომ ჰაუსი“
ჭორების აუზი,
ტყუილებს ავრცელებ,
აქედან აუსვი!

ფრიდონ მართალაუსი,
ფასანაური

მტყუანმართლის ძიებაში

ბერიას ქალები

⑨

ირაკლი კობახიძე: ...ვერ მალავენ უარყოფით დამოკიდებულებას ბატონი ბიძინა ივანიშვილის მიმართ, რომელიც დემოკრატიული გარდატეხის მთავარი შემოქმედია საქართველოში!

FREEDOM HOUSE-ის ანგარიშს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, საგანგებო ბრიფინგზე გამოეხმაურა და ანგარიშის ავტორები არაკომპეტენტურობასა და ტენდენციურობაში დაადანაშაულა. ირაკლი კობახიძე ამბობს, რომ ანგარიშის ავტორები ვერ მალავენ უარყოფით დამოკიდებულებას ბიძინა ივანიშვილის მიმართ, „რომელიც არის დემოკრატიული გარდატეხის მთავარი შემოქმედი საქართველოში“, — აცხადებს კობახიძე.

„საუბარი არაფორმალურ მმართველობაზე იმ პირობებში, როდესაც ანგარიშის ავტორები ამგვარი მმართველობის ნიშნების დაკონკრეტებასაც კი ვერ ახერხებენ, ბუნებრივია, საფუძველს არის მოკლებული. ბიძინა ივანიშვილის მიმართ სუბიექტური დამოკიდებულების ყველაზე ნათელი გამოვლინებაა კრიტიკა „პანორამა თბილისთან“ დაკავშირებით, რომელიც ასევე მოკლებულია დასაბუთებას“, — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

* * *

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲘᲡ შეფასებით, ანგარიშის ავტორები ვერ ახერხებენ შინაარსობრივად ხელისუფლების გაკრიტიკებას და დასკვნებში აშკარად იკვეთება მათი მიკერძოება საქართველოს მოქმედი ხელისუფლების საწინააღმდეგოდ. მისი თქმით, 2012 წლის შემდეგ საქართველომ მნიშვნელოვანი წინსვლა განიცადა და ანგარიში ტენდენციურია, „ღიმილის მომგვრელია“ კვლევაში დაფიქსირებული რეიტინგი სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ.

2012 წლამდე არსებული მოცემულობა იყო გაყალბებული არჩევნები, ნულოვანი ბალანსი ხელისუფლების ორგანოებს შორის, ადამიანის უფლებების უხეში დარღვევა — მათ შორის ადამიანების წამების, გაუპატიურების, საკუთრების ხელყოფის სისტემური პრაქტიკა, სასამართლოს სრული დაქვემდებარება იუსტიციის სამინისტროზე, ხელისუფლების ტოტალური თვითნებობა. ეს პრობლემები საქართველოში 2012 წლიდან არსებითად გადაიჭრა. ამ ფონზე, ანგარიშის თანახმად, 7-ბალიან შკალაში მხოლოდ 12 მეასედით არის გაუმჯობესებული საქართველოს რეიტინგი დემოკრატიული განვითარების თვალსაზრისით, რაც ყველაფერზე თავისთავად მეტყველებს, — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

გიორგი კვირიკაშვილი: FREEDOM HOUSE კარგად უნდა დაფიქრდეს!

Freedom House-ის ანგარიშს პრემიერ-მინისტრიც გამოეხმაურა და ორგანიზაციის შეფასებას „უკიდურესად არაობიექტური“ უწოდა. კვირიკაშვილი ამბობს, რომ Freedom House კარგად უნდა დაფიქრდეს, როდესაც არაობიექტურ ინფორმაციას და შეფასებებს ავრცელებს საქართველოში დემოკრატიის განვითარების ხარისხთან დაკავშირებით.

„მინდა ვთქვა, რომ 2012 წლის შემდეგ, როდესაც „ქართული ოცნება“ ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით მოვიდა ხელისუფლებაში და მას შემდეგ შეიცვალა რამდენიმე პრემიერი, მთავარი ტენდენცია, რომელიც დამკვიდრდა ქვეყანაში, ეს არის დემოკრატიის მაღალ ხარისხში აყვანა, მათ შორის ეს არის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური არასამთავრობო სექტორი, ეს არის მედიათავისუფლების სრულიად სხვა დონე, ეს არის ადამიანის უფლებების დარგში მიმართულებაში თვისობრივად განსხვავებული სიტუაცია. მარტო სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოში 2010-2011 წლებში იყო 350-დან 400-მდე საჩივარი წელიწადში. წელს ეს არის 70-ზე ქვემოთ 2017 წლის მონაცემებით, რაც, ჩემი აზრით, არის უდიდესი პროგრესი, რა თქმა უნდა, ეს არ არის თვითკმაყოფილების საბაბი. ჩვენ კიდევ დიდი გზა გვაქვს გასავლელი, რათა ევროპული დემოკრატია შევქმნათ. შესაბამისად Freedom House-ის შეფასება არის უკიდურესად არაობიექტური, არის აბსოლუტურად დაუბალანსებელ ინფორმაციაზე დაყრდნობილი და ვფიქრობ, რომ Freedom House კარგად უნდა დაფიქრდეს, როდესაც ასეთ არაობიექტურ ინფორმაციას და შეფასებებს ავრცელებს საქართველოში დემოკრატიის განვითარების ხარისხთან დაკავშირებით და ვუერთდები ირაკლი კობახიძის შეფასებებს ამ საკითხთან დაკავშირებით“, — განაცხდა გიორგი კვირიკაშვილმა.

იანოშ ჰერმანი FREEDOM HOUSE-ის შეშფოთებას არ იზიარებს!

ᲕᲔᲠ ვიტყოდი, რომ Freedom House-ის შეშფოთებას ვიზიარებთ, თუმცა მედია და სასამართლო სისტემა ის სფეროებია, რომლებსაც ჩვენ ყურადღებას ვუთმობთ, — ასე უპასუხა საქართველოში ევროკავშირის ელჩმა იანოშ ჰერმანმა ჟურნალისტის შეკითხვას, იზიარებს თუ არა Freedom House-ის ანგარიშში გამოთქმულ შეშფოთებას მედიის თავისუფლებასა და სასამართლო სისტემასთან დაკავშირებით.

„მესმის, რომ ეს Freedom House-ის განსაკუთრებული ანგარიშია, რომელიც ეხება გარდამავალ პერიოდში მყოფ ქვეყნებს. რა თქმა უნდა, ჩვენ დიდ ყურადღებას ვუთმობთ სხვადასხვა საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშებს და მოსაზრებებს, მათ შორის „ფრიდომ ჰაუსის“. მე ჯერ არ მქონდა საშუალება, რომ ანგარიშს სრულად გავცნობოდი, ამიტომ ვერ შევაფასებ. რაც პრესაში წავიკითხე, არის შენიშვნები, რომლებიც ეხება მედიის თავისუფლებას და სასამართლო სისტემას. ევროკავშირს საქართველოში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები გააჩნია და თქვენ მას კარგად იცნობთ ჩვენი ანგარიშებიდან. მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოსა და ევროკავშირს შორის არის დიალოგი და უახლოეს მომავალში გვექნება შეხვედრა, სადაც განვიხილავთ ადამიანის უფლებებსა და სასამართლოს თავისუფლებას“, — განაცხადა იანოშ ჰერმანმა.

პარლამენტში პროცესები იერარქიის შესაბამისად წარიმართება!

— მაისის მეორე ნახევარში ჩატარდება ყრილობა, **სადაც უნდა განახლდეს ხელმძღვანელი ორგანოები. ჩემი აზრია, რომ ეს პოლიტსაბჭოს და სარევიზიო კომისიას შეეხება. აღმასრულებელი მდივნის პოსტზე დავრჩები თუ არა, კახი კალაძის გადასაწყვეტია,** — აცხადებს ირაკლი კობახიძე. მან ასევე ისაუბრა იმ შეხვედრაზე, რომელიც პრემიერსა და საპარლამენტო უმრავლესობას შორის გაიმართა.

„გვქონდა შეხვედრა, სადაც შევთანხმდით, რომ გაიწერება კონკრეტული წესები და ამ წესებთან გვექნება შესაბამისი რეაგირების მექანიზმები,“ — აცხადებს კობახიძე. რაც შეეხება უმრავლესობას, კობახიძის თქმით, გუნდში არის რამდენიმე წევრი, რომელმაც დაუშვა შეცდომები, თუმცა, მისივე თქმით, გუნდში „კარგი ვითარება და სულისკვეთებაა.“

◎ პრემიერის საგადასახადო ინიციატივა

მცირე ბიზნესის გაზაფხული

ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲘᲡ ახალმა საგადასახადო ინიციატივამ, ერთი მხრივ, მოწონება დაიმსახურა, ხოლო, მეორე მხრივ, ეჭვი გააჩინა. ხელისუფლების აღმატებულ პათოსს სპეციალისტები ბოლომდე არ იზიარებენ, ხოლო ოპოზიცია ისევ სკეპტიკურადაა განწყობილი.

საქართველოს მთავრობის სამი ახალი საგადასახადო ინიციატივა მთავრობის სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა წარადგინა. პირველი ინიციატივის თანახმად, მეწარმე თავისუფლდება ზედმეტი ბიუროკრატიული პროცედურებისგან და ნაცვლად ხუთი საგადასახადო დოკუმენტისა, ერთ გაერთიანებულ საგადასახადო დოკუმენტს შეადგენს; მეორე ინიციატივა როგორც საგადასახადო, ისე პროცედურული კუთხით ადგილობრივი მეწარმეებისგან, სოფელში მცხოვრები მოქალაქეებისგან და მცირე ფერმერებისგან პროდუქციის შესყიდვის მაქსიმალურად გამარტივებას გულისხმობს; მესამე ინიციატივა კი — საქართველოს რეგიონულ ფინანსურ ცენტრად გადაქცევას ისახავს მიზნად და არარეზიდენტი პირების მიერ საქართველოში კომპანიების ონლაინ რეგისტრაციას მოიცავს.

პრემიერის ახალ ინიციატივას, რომელიც არარეზიდენტი პირების მიერ საქართველოში კომპანიების ონლაინ რეჟიმში დარეგისტრირებას და საბანკო სისტემაში ანგარიშების გახსნის შესაძლებლობას ითვალისწინებს, ეკონომისტები დადებითად აფასებენ. მათი თქმით, იდეა კარგია, თუმცა რამდენიმე საკითხია გასათვალისწინებელი. ერთ-ერთ მნიშვნლოვან ფაქტორად სპეციალისტებს იდენტიფიცირება მიაჩნიათ.

— ნამდვილად კარგი ინიციატივაა, რომელიც ევროპის ბევრ ქვეყნაშია აპრობირებული და ამ გზით ქვეყანაში ბიზნესსაქმიანობა შესაძლოა, გამარტივდეს უცხოელი ინვესტორისთვის. მეორე საკითხია იდენტიფიცირების ფაქტორი, ანუ როგორ მოხდება იმ ფიზიკური თუ იურიდიული პირების შემოწმება, ვინც კომპანიებს დაარეგისტრირებს. არ ვიცით, მთავრობა ტექნიკურად როგორ აპირებს ამ ყველაფრის მოწესრიგებას, ამიტომ საჭიროა საკითხის მეტად დეტალიზება, — განმარტავს თსუ-ს ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრის წარმომადგენელი **ᲝᲗᲐᲠ ᲐᲜᲓᲣᲠᲘᲫᲔ.**

ამ მოსაზრებას ეთანხმება ეკონომისტი რატი აბულაძეც. მისი თქმით, პროცესის გამჭვირვალობის გარდა, ასევე მნიშვნელოვანია ადგილობრივი მეწარმეების ინტერესების დაცვაც.

— კარგი ინიციატივაა, თუმცა საჭიროა ეს ყველაფერი მოექცეს გარკვეულ ჩარჩოებში, რათა დაცული იყოს როგორც იდენტიფიცირების საკითხი, ასევე ადგილობრივი მწარმოებლის ინტერესიც. ამ ინიციტივის განხორციელებით ჩვენს კომპანიებს არ უნდა შეეშალოთ ხელი კონკურენტუნარიანობის მიმართულებით. მსგავსი რამ კარგად მუშაობს იაპონიაში და იქაც ყველა მსგავსი დეტალი გათვალისწინებულია, — განუცხადა „კომერსანტს“ აბულაძემ.

ოპოზიცია კი ისევ ეჭვის თვალით უყურებს სამთავრობო სიახლეს. **ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲕᲐᲨᲐᲫᲘᲡ** აზრით, საჭიროა ინიციატივის სწორად განვითარება, წინააღმდეგ შემთხვევაში ის შეიძლება, გახდეს ფულის გათეთრების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება.

— იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდა საკითხის დეტალური შესწავლა და სწორად განვითარება, შესაძლოა, მნიშვნელოვანი პრობლემები წამოიჭრას, მათ შორის, ფულის გათეთრების კუთხითაც. რაც შეეხება სარგებლიანობას, ინიციტივის სწორად განხორციელების შემთხვევაში, ეს იქნება ქვეყანაში უზარმაზარი ფინანსური რესურების შემოდინებისა და ინვესტიციების ზრდის საშუალება. შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები, სადაც მაღალანაზღაურებადი ადამიანები შეძლებენ, მომსახურება გაუწიონ კონკრეტულ კომპანიებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით, — განმარტავს ვაშაძე.

აბსოლუტურად სხვაგვარად უყურებენ საკითხს საპარლამენტო უმრავლესობაში. დეპუტატ **ᲐᲠᲩᲘᲚ ᲗᲐᲚᲐᲙᲕᲐᲫᲘᲡ** შეფასებით, ახალი საგადასახადო რეფორმა, რომელიც კვირიკაშვილმა წარადგინა, მცირე ბიზნესის გაზაფხულია.

— პრემიერ-მინისტრმა საგადასახადო რეფორმების ახალი პაკეტის შესახებ განაცხადა. საგადასახადო რეფორმები, რომელიც მთავრობამ შეიმუშავა და მთავრობის სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა წარმოადგინა, მცირე ბიზნესის გაზაფხულია.

ᲮᲣᲗᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲐᲜᲘ გადასახადის შემცირება ერთ პროცენტამდე, ბრუნვის ლიმიტის გაზრდა ნახევარ მილიონამდე მცირე ბიზნესისთვის, პროცედურების გამარტივება და მცირე ბიზნესის სახელმწიფოსთან ურთიერთობის დაყვანა მხოლოდ ერთ დოკუმენტზე, ძალიან დიდი შეღავათია მცირე ბიზნესისთვის, ამ ცვლილებებით, ეკონომიკაში ჩვენი მოქალაქეების მონაწილეობა დიამეტრალურად გაიზრდება. მცირე ბიზნესი უფრო მეტი და უფრო ძლიერი იქნება, — განაცხადა თალაკვაძემ.

ᲖᲔᲥᲐ ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐ

ირინა მილორავა: ჩვენი მიზანია, ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკას დავუახლოვდეთ

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე ირინა მილორავამ, ენერგეტიკული გაერთიანების დირექტორმა იანეს კოპაჩმა და საქართველოში ევროკავშირის ელჩმა იანოშ ჰერმანმა ევროკავშირის კანონმდებლობის მიხედვით ბუნებრივი გაზის რეფორმირების თაობაზე მაღალი დონის პოლიტიკურ დისკუსიაში მიიღეს მონაწილეობა.

ღონისძიება ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს მიერ განხორციელებული EU&Energy Governance Project (ევროკავშირი ენერგეტიკისთვის მმართველობა) პროექტის ფარგლებში იმართება. მაღალი დონის პოლიტიკურ დისკუსიაში მონაწილეობენ როგორც მთავრობის წარმომადგენლები, ასევე ბუნებრივი გაზის სექტორის მონაწილეები და სამოქალაქო საზოგადოება. ღონისძიებაზე ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს ექსპერტები საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას უზიარებენ საქართველოს ბუნებრივი გაზის სექტორის სტრუქტურების წარმომადგენლებს. დისკუსიის მონაწილეები საუბრობენ ევროკავშირის ენერგეტიკის პოლიტიკისა და სამართლის რიგ საკითხებთან დაკავშირებით.

აფხაზი და ოსი პაციენტებისთვის 2014-17 წლებში საქართველოს ბიუჯეტიდან 16 935 074 ლარი დაიხარჯა

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პაციენტების სამედიცინო მომსახურების ხარჯები გააანალიზა.

ორგანიზაციის მიერ ანალიზისას შემდეგი მთავარი მიგნებები გამოიკვეთა:

2014-2017 წლებში აფხაზი და ოსი პაციენტების სამედიცინო ხარჯების სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფარვის პროგრამის ფარგლებში სულ დაიხარჯა 16,935,074.81 ლარი, ხოლო სამედიცინო მომსახურება სულ 6,188-მა პაციენტმა მიიღო.

2014-2017 წლებში სახელმწიფო სამედიცინო დახმარებით მოსარგებლე პაციენტებს შორის უფრო მეტი იყო აფხაზი (3,595), ვიდრე ოსი (2,650).

2014-2016 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული სამედიცინო მომსახურებით მოსარგებლე პაციენტების რაოდენობა 2.4-ჯერ გაიზარდა, ხოლო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა თითქმის გაორმაგდა.

2014-2016 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული სამედიცინო ტრანსპორტირებით მოსარგებლე პაციენტების რაოდენობა 50%-ით გაიზარდა, ხოლო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა თითქმის გაორმაგდა.

2014-2017 წლებში სახელმწიფო სამედიცინო დახმარებით მოსარგებლე პაციენტებს შორის უფრო მეტი იყო აფხაზი (3,595), ვიდრე ოსი (2,650). შესაბამისად, აფხაზი პაციენტების სამედიცინო მომსახურებაზე უფრო მეტი თანხა დაიხარჯა (აფხაზ პაციენტებზე – 9,759,689 ლარი, ოს პაციენტებზე – 8,098,078 ლარი)

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პაციენტები საქართველოს სამედიცინო დაწესებულებებს ყველაზე ხშირად ონკოლოგიის, ონკოჰემატოლოგიის დაავადების შემთხვევაში და მედიკამენტების მოთხოვნით მიმართავენ.

„ერთი გზა, ერთი სარტყლის ინიციატივა“

„ერთი გზა, ერთი სარტყლის ინიციატივა“ (BRI) მნიშვნელოვან სარგებელს მოუტანს ყველა მონაწილე ქვეყანას, რადგან იგი ხელს უწყობს რეგიონულ თანამშრომლობას, სახელმწიფოებს შორის ინფრასტრუქტურისა და სატრანსპორტო კავშირების განვითარებას, – ამის შესახებ პირველმა ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და ჩინეთის სახალხო ბანკის მაღალი დონის კონფერენციაზე „მაკროეკონომიკური და ფინანსური პლატფორმები სარტყლისა და გზის ინიციატივის წარმატებული იმპლემენტაციისთვის“ სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

პირველი ვიცე-პრემიერის განცხადებით, ინიციატივა ასევე გულისხმობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, ახალ შესაძლებლობებს ბიზნესისთვის და სოციალური კეთილდღეობის ზრდას ყველა მონაწილე ქვეყნისთვის. დიმიტრი ქუმსიშვილის თქმით, „ერთი გზა, ერთი სარტყლის ინიციატივის“ იმპლემენტაციას მნიშვნელოვანი ინვესტიციები და კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ესაჭიროება. მისი განცხადებით, საქართველო ერთ-ერთი იყო იმ პირველ ქვეყნებს შორის, რომელიც შეუერთდა BRII-ის ინვესტიციას და მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია ამ მიმართულებით. **„მინდა აღვნიშნო, რომ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება, რომელიც ჩვენ ჩინეთთან გაგვაჩნია, რა თქმა უნდა დაიწყო სწორედ იმ პირველი ბიძგიდან, რომელსაც „ერთი გზა, ერთი სარტყლის ინიციატივის“ მიერთება ერქვა. საქართველო დღეს უკვე აბრეშუმის გზის ძირითადი მონაწილე ქვეყანაა, ჩვენ ორჯერ ვუმასპინძლეთ ფორუმს ჩვენს ქვეყანაში და ინტერესი, რა თქმა უნდა, ძალიან დიდია“,** – განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

პირველი ვიცე-პრემიერის განცხადებით, საქართველო სრულად იზიარებს „ერთი გზა, ერთი სარტყლის ინიციატივის“ თანამშრომლობის ხუთ ძირითად პრიორიტეტს და ყოველთვის მიესალმება ახალ ინიციატივებს, რომლებიც მიზნად ისახავს რეგიონული კავშირების გაძლიერებასა და საერთაშორისო გადაზიდვებისა და ვაჭრობის ხელშეწყობას.

ევროკავშირი საქართველოს 45 მილიონი ევროთი დაეხმარება

ევროკავშირმა მიიღო გადაწყვეტილება, ეკონომიკური მხარდაჭერის მიზნით, საქართველო მიკროფინანსური დახმარებით უზრუნველყოს. ნათქვამია ევროკავშირის საბჭოს პრესსამსახურის განცხადებაში.

„საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, უზრუნველყოს მიკროფინანსური დახმარება საქართველოსთვის 45 მილიონი ევროს ოდენობით, რაც დაეხმარება საქართველოს დაძლიოს ფინანსური პრობლემები. ჩვენ გვინდა მხარი დავუჭიროთ საქართველოს ეკონომიკურ სტაბილურობას და მის სტრუქტურული რეფორმის პროგრამას“ – ნათქვამია განცხადებაში. ევროკავშირი მსგავს დახმარებას უწევს ქვეყნებს, რომელთაც აქვთ გადახდის ბალანსის სირთულეები. თუმცა ეს ეხებათ მხოლოდ იმ ქვეყნებს, რომელთაც საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან აქვთ მხარდაჭერა. ეს უკვე მესამე ოპერაციაა საქართველოსთვის 2008 წლის შემდეგ.

ევროკავშირმა საქართველოს ეს პროგრამა გასული წლის სექტემბრის ბოლოს შესთავაზა.

2017 წლის იანვრიდან 2018 წლის მარტამდე საფრანგეთში საქართველოს 3464 მოქალაქე დააკავეს

2017 წლის იანვრიდან 2018 წლის მარტამდე პერიოდში საფრანგეთში საქართველოს 3464 მოქალაქე დაკავეს. ამის შესახებ „აქცენტის“ მიერ შინაგან საქმეთა სამინისტროდან გამოთხოვილ ოფიციალურ ინფორმაციაშია ნათქვამი.

„2017 წლის განმავლობაში საფრანგეთის რესპუბლიკაში დაკავებულ იქნა საქართველოს 2773 მოქალაქე, ხოლო 2018 წლის იანვარ-თებერვალში – 691“, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

შეგახსენებთ, რომ 2017 წლის 28 მარტიდან საქართველოს მოქალაქეებს ევროკავშირის ქვეყნებში/შენგენის სივრცეში უვიზოდ მოგზაურობის შესაძლებლობა მიეცათ, თუმცა პირველივე წლის განმავლობაში შეიქმნა საფრთხე, ევროკომისიამ საქართველოს ეს სიკეთე შეუწყვიტოს.

კერძოდ, ჯერ კიდევ გასული წლის ბოლოს რიგი ევროპული სახელმწიფოების, მათ შორის საფრანგეთის, იტალიის, გერმანიის, საბერძნეთის, ისლანდიისა და შვედეთის სხვადასხვა რანგის მაღალჩინოსნების მხრიდან უკმაყოფილება გამოითქვა საქართველოდან თავშესაფრის მაძიებელთა განაცხადების რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდისა და „საქართველოს მოქალაქეების მიერ მათი ქვეყნების ტერიტორიებზე დანაშაულების ჩადენის მაღალი სტატისტიკური მაჩვენებლების“ გამო.

გასულ თვეს ჟურნალისტებთან საუბრისას ხსენებულ პრობლემაზე ყურადღება საფრანგეთის ელჩმა საქართველოში პასკალ მენიემ გაამახვილა.

„მთავარი მიზეზი, რომელიც გერმანიისა და საფრანგეთის შეშფოთების საგანს წარმოადგენდა, ქართველების მხრიდან ევროპაში ჩადენილი კრიმინალი იყო. მაშინ ქართულმა მხარემ დაგვარწმუნა, რომ ამას მოაგვარებდა. ჩვენც დავთანხმდით იმას, რომ ქართული მხარისთვის ვიზალიბერალიზაცია მიგვეცა. საქართველოს მთავრობამ და ქართველმა ხალხმა ძალიან დიდი სამუშაო გასწიეს და ეს, შეიძლება, ითქვას, რომ ჯილდოც იყო ქართული მხარისთვის, რათა ქართველებს შენგენის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლა შეძლებოდათ. სამწუხაროდ, ფაქტია, რომ ნოემბრის თვიდან ძალიან მოიმატა თავშესაფრის მთხოვნელთა რიცხვმა. ასევე იმატა ორგანიზებული კრიმინალის წარმომადგენელთა რიცხვმაც თვითონ ამ ქვეყნების ტერიტორიებზე. ასე თუ გაგრძელდა, შესაძლოა, რაღაც გადაწყვეტილებები იქნას მიღებული. რა თქმა უნდა, ჩვენ არ გვსურს ამ ეტაპზე გადაწყვეტილების მიღება, იმიტომ, რომ არ გვინდა, დავსაჯოთ ის ღირსეული ადამიანები, რომლებსაც საქმეს უფუჭებენ კრიმინალის წარმომადგენლები ევროპის ტერიტორიაზე. მათი სამარცხვინო საქციელის გამო არ გვინდა, დავსაჯოთ ის ღირსეული ადამიანები, რომლებიც ვიზალიბერალიზაციას ღირსეულად იყენებენ“, – განაცხადა ელჩმა 6 მარტს ჟურნალისტებთან საუბრისას.

ცნობისთვის: საფრანგეთის „დევნილთა და მოქალაქეობის გარეშე პირების დაცვის ოფისმა“ დღეს ანგარიში გამოაქვეყნა. დოკუმენტის თანახმად, საფრანგეთში საქართველოდან თავშესაფრის მაძიებელთა რიცხვი მკვეთრად გაიზარდა.

„2017 წელს საფრანგეთს თავშესაფრის მინიჭების მოთხოვნით საქართველოს 1542-მა მოქალაქემ მიმართა, რაც წინა წელთან შედარებით, 602 ადამიანით მეტია“, – ნათქვამია დოკუმენტში.

რეფორმებზე ლაპარაკი კი არა, საქმეა მთავარი!

თვითმმართველობები უფრო ცენტრისკენ იცქირებიან, ვიდრე მოსახლეობისკენ!

წინა ხელისუფლების დროს ფარატინა ქაღალდზე ეწერა, რომ რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის ინტერესთა შესაბამისი მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა ავტონომიურად მოხდებოდა. სინამდვილეში, რეგიონებში თვითმმართველობების დამოუკიდებლობისთვის არაფერი კეთდებოდა. მათი ერთადერთი ფუნქცია საარჩევნო შტაბის სათავისოდ ამუშავება იყო. თვითმმართველობები „ნაციონალებს“ იმისთვის სჭირდებოდათ, რომ რეგიონში ჩასულ სააკაშვილს „მიშა-მიშას“ ძახილით დახვედროდნენ.

შეიცვლება თუ არა ვითარება დეცენტრალიზაციის თვალსაზრისით, ამის შესახებ ექსპერტი თვითმმართველობის საკითხებში სანდრო სვანიშვილი გვესაუბრება.

— პრემიერი კვირიკაშვილი აცხადებს, რომ აუცილებელია რეგიონებს, ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებს გადაწყვეტილების მეტი უფლება მიეცეს. დაახლოებით რვა წელიწადში უნდა გაორმაგდეს რეგიონების დაფინანსების დონე მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით და ეს უნდა მოხდეს ევროპულ დონეზე. ამჯერად მაინც რამდენად რეალისტურია, რომ რეგიონებს დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების უფლება მიეცემათ?

— თვითმმართველობა ნიშნავს, რომ თავად მოსახლეობამ უნდა გადაწყვიტოს თავისი პრობლემები. დეცენტრალიზაციის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მოხდეს უფლებამოსილებებისა და რესურსების გაზრდა და დამოუკიდებლობის მიღწევა. რამდენად რეალისტური იქნება კვირიკაშვილის დაპირება, ვერაფერს გეტყვით. უბრალოდ, ფაქტია, რომ ამაზე მიმდინარეობს მუშაობა. გრძელვადიანი ხედვა თავისთავად კარგია. ისიც მისასალმებელია, რომ დროშია გათვლილი, თუ რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას.

— რვაწლიანი მოლოდინის პერიოდი ცოტა ხანგრძლივი ხომ არ არის, იმის გათვალისწინებით, რომ რეგიონებს დამოუკიდებლობის მისაღწევად ისედაც დიდხანს უწევდათ ლოდინი?

— ხანგრძლივი არ არის, რადგან დეცენტრალიზაცია უწყვეტი პროცესია. საქმე ის არის, რომ აქამდე რაც კეთდებოდა, ყველაზე მაქსიმუმ, სამწლიანი სახელმწიფო პროგრამა არსებობდა. 90-იანი წლების შემდეგ კონკრეტულ ნაბიჯთა გადადგმის გრძელვადიანი ხედვა არ ყოფილა. ცუდი ის იყო, რომ რაღაც თითქოს დაიწყებოდა, მერე ისევ უკან ბრუნდებოდა და ხელახლა იწყებოდა. ამიტომ გამოსავალს გრძელვადიან ხედვაში ვხედავ, რომელშიც გათვლილი იქნება კონკრეტული ნაბიჯები. მეორე მხრივ, ბევრი ისეთი საკითხია, რომელთა გადასაწყვეტად შესაძლოა, მუნიციპალიტეტები მზად არც იყვნენ. ამიტომ დღეს სურვილი და ნებაც რომ იყოს, მოდით, გადავცეთ ეს საკითხები თვითმმართველობებს გადასაწყვეტად, ვინ გადაწყვეტს ამ საკითხებს?

— ადამიანურ რესურსებს გულისხმობთ?

— არც რესურსები, არც კვალიფიკაცია, არც უნარები ამისთვის რეგიონებში არ გააჩნიათ. ეს არის პროცესი, როდესაც უნდა დაიწყოს კადრების მომზადებაც, უნარების შეძენაც, რესურსების თანდათანობითი გადანაწილებაც. ისე არ მოხდეს, რომ გადავცეთ უფლებამოსილება რეგიონებს და, პრაქტიკულად, ეს უფლებამოსილება დაიკარგოს. დეცენტრალიზაცია იმიტომ გახდა აუცილებელი, რომ უფლებამოსილებები ცენტრიდან ცუდად ხორციელდებოდა. ცუდად განხორციელება კი ბევრად უფრო უარესით არ უნდა შეიცვალოს.

— ცუდად რატომ ხორციელდებოდა? შუალედური რგოლი ხომ არ აფერხებდა პროცესებს და პირადი გამორჩენით ხომ არ იყო დაინტერესებული?

— გამორიცხულია, ცენტრიდან გადაწყვიტონ, რომ ცალკეულ სოფელში, ვთქვათ, ხე სად დაირგოს და გზა სად დაიგოს. ეს უკვე თვითონ სოფელმა და მუნიციპალიტეტმა უნდა გადაწყვიტოს. ამის ცენტრიდან მართვა შეუძლებელი და არაეფექტურია.

— ხომ არ ფიქრობთ, რომ დეცენტრალიზაციის თემები ნებისმიერ ხელისუფლებას წინაასაარჩევნო პერიოდში ახსენდება. ასე საეჭვო დამთხვევები რატომ ხდება?

— როგორც წესი, ეს ყოველთვის ხდებოდა წინასაარჩევნო პერიოდში და ერთადერთი გამონაკლისია ეს შემთხვევა, როდესაც თვითმმართველობის არჩევნების წინ კი არ დაიწყო ამ თემის გააქტიურება, არამედ თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ. ცხადია, არჩევნების წინა პერიოდში საუბრობდნენ ხოლმე ამაზე. როგორც წესი, ხდებოდა ისეც, რომ არჩევნების წინ ვღებულობდით ამ კანონს, ცვლილებები შედიოდა კანონებში, ან სრულიად ახალ კანონს ვღებულობდით და შემდეგ პროცესი ისევ უკან-უკან მიდიოდა.

— ეს „ნაციონალების“ დროს უფრო ხდებოდა, როდესაც სააკაშვილის ხელისუფლებას ცენტრალიზებული მართვა უფრო სჭირდებოდა, თუ დღესაც გრძელდება?

— რეალურად ვერ ვიტყვი, რომ დღეს რაიმე რეფორმა მიმდინარეობს. ჯერჯერობით მხოლოდ იმაზე საუბრობენ, რეფორმა როგორ მოამზადონ, რომ ეს რეფორმა წარმატებული იყოს. თუმცა, რაც იყო 1997 წელს, 2001 წელს, 2005 წელს, ყველა არჩევნების წინ ისმოდა განცხადებები რეფორმის ჩატარების აუცილებლობაზე... საპრეზიდენტო არჩევნები ახლოვდება, მაგრამ თვითმმართველობის საკითხი ნაკლებ კავშირშია პრეზიდენტის ინსტიტუტთან. ეს რომ წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილი ყოფილიყო, მაშინ პრემიერს ეს განცხადება თვითმმართველობის არჩევნების წინ უნდა გაეკეთებინა, როგორც ტრადიციულად აქამდე ხდებოდა.

— რეგიონებისთვის უფრო მნიშვნელოვანი დაფინანსების მატება ხომ არ არის, ვიდრე ძალაუფლების დეცენტრალიზაცია?

— დაფინანსება თავისთავად არაფერს წყვეტს. თვითმმართველობა უნდა იყოს დამოუკიდებელი. 2004 წლის თვითმმართველობის ბიუჯეტი 2000 წლის თვითმმართველობის ბიუჯეტს რომ შევადაროთ, 5-ჯერ და 10-ჯერ მაინც არის გაზრდილი, მაგრამ დამოუკიდებლობის ხარისხი არ გაუმჯობესებულა.

— კონკრეტულად, რეგიონების მოსახლეობას ადგილებზე რა უჭირს? ის ხომ არა, რომ თავად რეგიონის ხელმძღვანელობამდე, ან თუნდაც გუბერნატორების დონემდე ვერ მიაქვთ სათქმელი?

— გუბერნატორების დონე ნაკლებად მნიშვნელოვანია. გუბერნატორებთან ურთიერთობა სულ სხვა პროცესია. თვითმმართველობის დონეს რაც შეეხება, ძირითადი პრობლემა ის არის, რომ ისინი მოსახლეობასთან არ არიან ახლოს, მათი დასაყრდენია ცენტრი და არა მოსახლეობა. უფრო მეტად ცენტრისკენ იყურებიან და იქიდან ღებულობენ დავალებებს.

ესაუბრა
მანანა ზარიძე

◎ ღირს დაფიქრებად!

თუ ელიავას ბაზრობა იქ მცხოვრებთ აწუხებთ, თემქაზე მაღალტანის შემთხვევაში, აღამიანები არ შეწუხდებიან?

ელიავას ბაზრობის ცალკეული ტერიტორიების დასაკუთრება 90-იანი წლებიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება. „სითი ინსტიტუტის“ რეკომენდაციით კი, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, სადაც ქვიშა, ღორღი, ხრეში, ცემენტი, საბურავები და მანქანების ნაწილები იყიდება, სასურველია, ცენტრალური დასვენების პარკი მოეწყოს. ამდენად, სავარაუდოდ, ამ ტერიტორიის მუნიციპალურ საკუთრებაში დაბრუნება და საზოგადებრივ სივრცედ ფორმირება მოხდება, რაც ელიავაზე მოვაჭრე ადამიანების უკმაყოფილების მიზეზი ხდება.

რას ფიქრობენ ელიავას ბაზრობის გადატანის თაობაზე სპეციალისტები?

ქალაქდაგეგმარების სპეციალისტი **ზურაბ ბაქრაძე** აცხადებს, რომ ასე ხელაღებით ძალიან ძნელია რაიმეს გადაჭრით თქმა, რადგან ელიავას ბაზრობა არის ძალზე მნიშვნელოვანი სავაჭრო სიმძლავრე ქალაქისთვის. ამდენად, თუ დაწვრილებით არ ვიცით, რის საფუძველზე გადაწყვიტეს იმ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონის მოწყობა, საკითხს ისე ვერ შევაფასებთ.

„მე ვხედავ ორივე მხარის მართლზომიერებას. ვხედავ იმის არგუმენტებსაც, რომ იქ დარჩეს სავაჭრო სიმძლავრეები და იმის არგუმენტებსაც, რომ იქ მოეწყოს სარეკრეაციო ზონა, რადგან ეს არის მტკვრის ნაპირას. თუმცა, თუ იქ სარეკრეაციო ზონა მოეწყობა, ეს აუცილებლად უნდა გულისხმობდეს ავტომაგისტრალის გაუქმებას, რაც, ასევე, დასასაბუთებელია. ხოლო, თუ მაგისტრალს დატოვებ, იქ პარკის გაკეთებას ფასი მნიშვნელოვნად აკლდება, რადგან ეს გზა მაინც მოჭრის პარკს მდინარე მტკვრისგან და მაშინ დიდი აზრი აღარ ექნება მის მოწყობას. ამდენად, ელიავას ბაზრობის გადატანის საკითხს მოსდევს სატრანსპორტო თემა, ანუ შეიძლება თუ არა ავტომაგისტრალის გაუქმება“, — აცხადებს ზურაბ ბაქრაძე, რომლის აზრითაც, ეს საკითხი კომპლექსურად უნდა გადაწყდეს და სასწორის ერთ მხარეს უნდა დაიდოს ის დიდი ეკონომიკური სიმძლავრე, რომელიც ასეთ ბაზრობას მოაქვს ხოლმე და მეორე მხარეს უნდა დაიდოს რეკრეაციული ზონის სიკეთე, რაც ქალაქს ასე აკლია. ეს ყველაფერი ქალაქის მესვეურებმა უნდა აწონ-დაწონონ.

ტექნოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ორგანიზაცია „მშენებლობა ფალსიფიკაციის გარეშე“ ხელმძღვანელი ანზორ საკანდელიძე აცხადებს, რომ გააჩნია, ელიავას ბაზრობის მოვაჭრეებს სად გამოუყოფენ სავაჭრო სივრცეს, რა პირობები შეექმნებათ ახალ ადგილზე, სადაც გადაიყვანენ, ტრანსპორტი, მეტრო როგორ მიუდგება ახალ ობიექტებს.

„თუ მოვაჭრეების უფლებებიც დაცული იქნება და მათ სავაჭრო პირობებს საფრთხე არ შეექმნება, რა თქმა უნდა, კარგი იქნება ამხელა ტერიტორიის გამოთავისუფლება. ოღონდ აქ მთავარია, ეს ტერიტორია კიდევ ერთხელ არ გადაყიდონ, ისევ ახალი მფლობელი არ გამოუჩნდეს და არ მოხდეს გადათამაშება. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ გამოყოფენ ტერიტორიას, ისევ მაღლივ კორპუსებს ჩადგამენ და ისევ სულის ჩახუთვა იწყება. სუფთა რეკრეაციულ ზონას, მწვანე ნარგავებს არაფერი სჯობს. თუ ეს ტერიტორია მოხმარდება მცენარეული საფარის ზრდას, მისასალმებელია, მაგრამ გარანტირებული უნდა იყოს, რომ სავაჭროდ გამოსული ხალხი მოტყუებული არ დარჩება“, — აღნიშნა ანზორ საკანდელიძემ.

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში **მიხეილ ჯიბუტი** ამბობს, რომ „სითი ინსტიტუტის“ პოზიციით, ელიავას ბაზრობა იქ, სადაც დღეს არის, ისეთი სახით აღარ უნდა არსებობდეს და უნდა გადავიდეს თემქაზე, თუმცა, თუკი ეს ადგილი ელიავას ბაზრობის მიმდებარედ მცხოვრებ ხალხს აწუხებს, მაშინ თემქაზე მცხოვრებთ არ შეაწუხებთ?!

„ჩემი პრინციპული პოზიცია ასეთია: ელიავას ბაზრობა თუ არ ვარგა იქ, სადაც დღეს არის, თემქაზე რატომ ივარგებს? თუ ელიავას ბაზრობის ტერიტორია აწუხებს ადამიანებს, თემქაზე ადამიანები არ ცხოვრობენ? როგორც ვიცი, ამ ბაზრობის ნაწილის გადატანას აპირებენ თემქაზე, ნაწილის — დიდუბეში. თანაც, ელიავას ბაზრობა ძალიან პირობითია, იწყება დიდუბის მეტროდან და მთავრდება მუშთაიდის ბაღთან“, — აღნიშნა მიხეილ ჯიბუტმა.

მანანა ნოზაძე

აპირებს თუ არა თურქეთი აჭარის დაპყრობას?..

საქართველოს ხელისუფლება თურქეთს მეგობრად თვლის. თურქეთის ამჟამინდელი პრეზიდენტი რეჯეპ თაიპ ერდოღანი კი თავის საჯარო გამოსვლებში ღიად მოითხოვს ბათუმისა და აჭარის თურქეთის საზღვრებში დაბრუნებას.

პარალელურად ის მოითხოვს ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობას და კაზინოების დახურვას. თურქეთი ბათუმის აეროპორტით სარგებლობს, როგორც თავისი საკუთარი საჰაერო კარიბჭით და თურქეთის სასკოლო სახელმძღვანელოებში წერია, რომ ბათუმი და აჭარა თურქეთის კუთვნილ მიწებს წარმოადგენენ.

აჭარაში თურქეთის სახელმწიფოს მხრიდან მიმდინარეობს აქტიური ეკონომიკური ექსპანსია. რეგიონში საერთაშორისო ინვესტიციების მოცულობის 90%-ს შეადგენს თურქეთის კაპიტალი. ხსენებული ინვესტიციებით აჭარაში დაფინანსებული მშენებლობის, საწარმო და სავაჭრო ობიექტებზე, როგორც წესი, თურქეთიდან ჩამოსული ადამიანები, ანუ **მისი მოქალაქეები** მუშაობენ.

ბოლო 13 წლის განმავლობაში საქართველოს მოქალაქეობა მიიღო ათიათასობით ეროვნებით თურქმა, რომლებსაც ამჟამად აქვთ ორმაგი მოქალაქეობა (თურქეთისა და საქართველოს). ასე თუ გაგრძელდა, აჭარის მოსახლეობის უმრავლესობა მალე იქნება თურქი ეროვნებისა. პერსპექტივაშია ისიც, რომ საქართველოს პარლამენტის დეპუტატები გახდებიან იმ ადამიანთა ნაწილი, რომლებიც აჭარაში მცხოვრებ ქართველ მუსულმანებთან ერთად შექმნიან პოლიტიკურ პარტიას, რომლის საქმიანობის დაფინანსებას ფარულად განახორციელებს თურქეთის მხარე.

დღეს ბათუმის ერთ-ერთი ცენტრალური უბანი გაივსო თურქული რესტორნებით, ბარებითა და კაფეებით. ქართული საუბარი იშვიათად ისმის. აქ განლაგებული და მოქმედი ე.წ. „ტაის მასაჟის“ სალონებში, რომელთა მფლობელებს, ამა თუ იმ ფორმით ფარულად ან ღიად წარმოადგენენ თურქეთის მოქალაქეები, ეროვნებით თურქები. ყვავის პროსტიტუცია, რაზედაც ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოები „თვალებს ხუჭავენ“, ანუ მფარველობენ, რაც დასტურდება იმით, რომ ეს ე.წ. „ობიექტები“ დღესაც აგრძელებენ ფუნქციონირებას.

თურქეთი აჭარაში ახორციელებს აქტიურ მიზანსწრაფულ რელიგიურ პროპაგანდას.

თურქეთის მხარდაჭერით ბათუმში და აჭარის მსხვილ დასახლებულ რაიონებში ადგილი აქვს ახალი მეჩეთების და თურქულ ენაზე ფუნქციონირებადი სკოლების გახსნას, რომელთა წარჩინებულ მოსწავლეებს უფლება ეძლევათ, უმაღლესი სწავლა-განათლება (კვებისა და საცხოვრებლის ჩათვლით) უფასოდ მიიღონ თურქეთში.

აჭარაში გახშირდა ქართველებსა და თურქებს შორის ქორწინება, რის საფუძველზე თურქეთის მოქალაქეებს საშუალება ეძლევათ, მიიღონ საქართველოს მოქალაქეობა და საცხოვრებლად დარჩნენ საქართველოში.

2016 წელს ე.წ. პანთურქული ორგანიზაციის „რუხი მგლების“ მიერ სარფში (თურქეთის მხარე) ადგილი ჰქონდა თურქეთის დროშებით დემონსტრაციის მსვლელობას, რომლის მონაწილეები გაიძახოდნენ – „თურქული მიწები თურქებისაა“.

რამდენიმე წლის წინათ ინტერნეტში შეიქმნა აჭარა-ისლამური რესპუბლიკის საიტი, რომელიც რეგიონის მიმართ ახორციელებს პროთურქულ პროპაგანდას, რაზედაც არანაირ ქმედითუნარიან რეაგირებას არ აკეთებს საქართველოს ხელისუფლება და მისი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური. ამ საიტის გახსნის შემდეგ მოკლე დროში აჭარის მკვიდრი უფლებადამცველი თამაზ ჩაგალიძე აღმოჩნდა ISIS-ში (ისლამური სახელმწიფო) და, როგორც ახმედ ალგურჯმა, სიკვდილით ღიად დაემუქრა „ურჯულოებს“ აჭარაში და მოუწოდა თანამემამულეებს გაერთიანდნენ ისლამურ სახელმწიფოსთან, რათა იბრძოლონ ჯიჰადისტების მხარეს. მსგავსი მოწოდებით 2015 წელს აჭარელ მუსლიმანებს მიმართა წალკის რაიონის ყოფილმა იმამმა, წარმოშობით აჭარელმა მურმან პაიჭაძემ, რომელიც სირიაში იბრძოდა ISIS-ს მხარეს. მან მოუწოდა თანამემამულეებს გაერთიანებისაკენ ISIS-ს დროშის ქვეშ.

აჭარის ირგვლივ შექმნილი მდგომარეობა რთულდება იმით, რომ „ყარსის ხელშეკრულების“ მოქმედების ვადა იწურება 2021 წლის 13 ოქტომბერს. სწორედ მას უნდა „ვუმადლობდეთ“, რომ აჭარის პოლიტიკურ-ეკონომიური სტატუსი არის ავტონომია. თავისი ე.წ. შინაარსით ეს ხელშეკრულება წარმოადგენს დოკუმენტს ვითომდაც მეგობრობის შესახებ. კერძოდ, საბჭოთა საქართველოსა და თურქეთს შორის. ხელშეკრულება დადებულია საბჭოთა რუსეთის მონაწილეობით, რომლის მუხლები ნაკარნახევია „მოსკოვის ხელშეკრულებით“, რომელიც გაფორმდა სოციალისტურ რუსეთსა და თურქეთს შორის 1921 წლის 16 მარტს. „ყარსის ხელშეკრულების“ საფუძველზე თურქეთსა და რუსეთს უფლება ეძლევათ აჭარაში, ანუ საქართველოში შეიყვანონ საკუთარი ჯარი, თუ იქნება ავტონომიის გაუქმებისა და სხვა სახელმწიფოების მხრიდან სამხედრო ინტერვენციის მცდელობა. სწორედ ამიტომ გამოსარიცხი არ არის, რომ ყირიმის რუსეთში „გაერთიანება“ თურქეთის მხრიდან დიდი ალბათობით სამომავლოდ გამოიწვევს აჭარის ოკუპაციას.

ერდოღანი აცხადებს, რომ საქართველო დამაკავშირებელი ხიდია და მისი თქმით, თურქეთთან თანამშრომლობით საქართველომ ეკონომიკური სარგებელი მიიღო. შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით გასახსენებელია **ლოზანის ხელშეკრულება, რომელსაც** 1923 წლის 24 ივლისს ხელი მოაწერა 11-მა სახელმწიფომ, რომლითაც განისაზღვრა ორ ქვეყანას (თურქეთსა და საბერძნეთს) შორის საზღვარი და დადგინდა ეროვნული უმცირესობების სტატუსი. ხელშეკრულების მთავარი მონაწილენი საბერძნეთი და თურქეთი იყვნენ. ყველაზე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ხელშეკრულებით დასავლეთ თრაკიის სადავო რაიონი საბერძნეთს დარჩა, მაგრამ იქ მცხოვრებ თურქულენოვან უმცირესობას რელიგიური უმცირესობის სტატუსი მიენიჭა. საბერძნეთის ხელისუფლებამ მიიღო უფლება, დანიშნოს ამ რელიგიური უმცირესობის სულიერი ლიდერი, უმაღლესი მუფტი. 1921 წლის 13 ოქტომბერს, ვიმეორებთ, ხელი მოეწერა „ყარსის ხელშეკრულებას“ თურქეთსა და ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს შორის. საქართველოს სსრ, რომელიც მაშინ ფორმალურად ჯერ კიდევ დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო (სსრ კავშირი 1924 წელს შეიქმნა), შეთანხმების ერთ-ერთი მონაწილეა. დღევანდელი საქართველო-თურქეთის საზღვარი სწორედ მაშინ დადგინდა.

1991 წელს, როდესაც თურქეთის რესპუბლიკამ საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა, ორ ქვეყანას შორის დადებულ მეგობრობის ხელშეკრულებაში ჩაიწერა, რომ მხარეები პატივს სცემენ ორ ქვეყანას შორის არსებულ შეთანხმებებს, ყარსის ხელშეკრულებიდან მოყოლებული. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართული დელეგაცია ლოზანის კონფერენციის მუშაობაშიც მონაწილეობდა, რაც ადასტურებს ამ ორი შეთანხმების ურთიერთკავშირსა და ურთიერთდამოკიდებულებას. შესაბამისად, თუკი თურქეთი მოახერხებს ლოზანის ხელშეკრულების რევიზიას, ბუნებრივად დადგება „ყარსის ხელშეკრულების“ რევიზიის საკითხიც. ცხადია, ეს პროცესი საქართველოს სასარგებლოდ ვერ წარიმართება. დღეს თურქეთის ხელისუფლება იმედოვნებს, რომ შეუძლია საბერძნეთზე ზემოქმედება, საქართველოსთან მიმართებაში კი მას ზემოქმედების ბევრად ძლიერი ბერკეტები აქვს. თურქეთ-საბერძნეთის ურთიერთობის დღევანდელი პერიპეტიები პირდაპირ კავშირშია საქართველოსთან. კერძოდ, ლოზანის ხელშეკრულება პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ახალი თურქეთის საზღვრების ჩამოყალიბების ხანგრძლივი და სისხლიანი პროცესის დასკვნით აქტს წარმოადგენს.

საგანგაშოა მდინარე მტკვრის მომავალი. და ეს იმიტომ, რომ თურქეთი თავის პროვინციაში არდახანში საქართველოს საზღვრებთან ახლოს, 1998 წელს შეუდგა ჰიდროენერგოსადგურების კასკადისა და წყალსაცავის მშენებლობას, რომლის შევსება დასრულდა 2012 წელს. პრაქტიკულად პროექტის მიხედვით აღნიშნული გამოიწვევს მტკვრის გასვლას ჭოროხის უღელტეხილით და მისი მიმართულების შეცვლას შავი ზღვისკენ. ეს უარყოფითად აისახება არამარტო საქართველოზე, არამედ აზერბაიჯანზე – მინგეჩაურის წყალსაცავზეც, თუმცა აზერბაიჯანის ხელისუფლება ასე არ თვლის. თურქეთის აღნიშნულ ჰიდროენერგეტიკულ წამოწყებასთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლებას საბოლოო გადაწყვეტილება არ აქვს მიღებული. საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს „facebook“-ზე აღბეჭდილია, რომ საკითხთან დაკავშირებით მიმდინარეობს თურქეთის მხარესთან მოლაპარაკება. მაგრამ როდემდე...

დაუშვებელია, თუ საქართველოს ხელისუფლება შექმნილ ვითარებაში თურქეთს შესთავაზებს ე.წ. ალტერნატივის სახით ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე, მდინარე მტკვარზე, მათი დაფინანსებით ჰესების მშენებლობის დაწყებას. ეს გამოიწვევს იმას, რომ ჰესების გამომუშავებული ელექტროენერგიის უდიდესი მოცულობის მოხმარებას მოითხოვს თურქეთის მხარე და ეს შესაძლოა, მოხდეს, ანუ საქართველოს ხელისუფლება გასცემს თანხმობას იმის გამო, რომ ჩვენი ქვეყანა ეკონომიკურად მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული თურქეთზე. უდავოა, რომ აღნიშნულის რეალიზაცია ჩვენი ქვეყნის ეკოსისტემას უმძიმეს ზიანს მიაყენებს. ამის მაგალითი უკვე არსებობს მდინარე ფარავანზე ჰესის მშენებლობის სახით, რამაც უარყოფითად შეცვალა ჯავახეთის ლანდშაფტი და ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია მთლიანად გადაეცემა თურქეთს.

2006-2017 წ.წ. საქართველოს ხელისუფლების მხრიდან მიზანსწრაფულად ნადგურდება სამამულო მეთევზეობის დარგი შავ ზღვაში. შავი ზღვის საქართველოს აკვატორიაში მეთევზეობის ლიცენზიებს ეუფლებიან ქართული იურიდული პირები, რომელთა „უკან“, ფაქტობრივად, დგანან თურქული წარმოშობის ორგანიზაციები, კანონსაწინააღმდეგოდ ეუფლებიან აკვატორიაში მოპოვებულ თევზს, რომლის ჭერას ახორციელებენ ლიცენზიატების მიერ დაქირავებული თანამედროვე სეინერებით. ამ დროს ქართველ მეთევზეებს შექმნილი მდგომარეობის გამო არ ეძლევათ საშუალება, გააძლიერონ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ლიცენზიებით გათვალისწინებულ თევზჭერის კვოტების მხოლოდ ათი პროცენტი ეკუთვნის მათ, რასაც ხელისუფლება ამადლის და ეს იმიტომ, რომ აღნიშნული კვოტა უფასოა. დარჩენილი 90 პროცენტის ოდენობის კვოტას ქართველი ლიცენზიატების მეშვეობით მოიხმარს თურქეთის მხარე.

ჩვენი სააგენტო ამჟამინდელი საგაზეთო პუბლიკაციით შეეეცადა, მოუწოდოს ქართველ ერს, მის მართლმადიდებელ ეკლესიას და ხელისუფლებას, გაერთიანდნენ. ჯერ კიდევ დრია, გადავდგათ გააზრებული ნაბიჯი, რათა კონკრეტული რეალობის გათვალისწინებით მოხდეს საქართველოს სახელმწიფოებრიობის დაცვა თურქეთის ანტიქართული ზრახვებისაგან. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენს პუბლიკაციას ექნება გამოხმაურება. ამ პუბლიკაციაში მოყვანილ ფაქტებზე და შეფასებებზე პასუხს სრულად ვაგებ ქართველი ერისა და საქართველოს სახელმწიფოს კანონმდებლობის წინაშე. ხაზგასმით ვაცხადებ, რომ პუბლიკაციაში მოყვანილი ყოველივე ფაქტი დასტურდება ჩვენი სააგენტოს მიერ მოპოვებული დოკუმენტური მტკიცებულებით.

თენგიზ ჩხიკვაძე,
ჟურნალისტური გამოძიების სააგენტო „დრო და სივრცე“

საქართველოში სასწავლებლად ჩასული 52 ინდოელი უკან დააბრუნეს

ინდოეთის ინგლისურენოვან გაზეთ The Times of India-ში გამოქვეყნებული სტატია ეხება თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან რამდენიმე ათეული ინდოელი სტუდენტის უკან დაბრუნების ინციდენტს, რომელიც ორშაბათს, 9 აპრილს მოხდა.

როგორც გაზეთი აღნიშნავს, ინდოეთის მოქალაქეთა ჯგუფში 62 სტუდენტი იყო, რომლებიც თბილისში სამედიცინო განათლების მისაღებად ჩავიდნენ, თუმცა მათგან 52 უკან, ინდოეთში დააბრუნეს – მიუხედავად იმისა, რომ მათ საქართველოში შესასვლელი ვიზები ჰქონდათ.

პუბლიკაციაში აღნიშნულია, რომ სტუდენტები უმაღლესი სამედიცინო განათლების მიღებას თბილისის „ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტში“ აპირებდნენ, მათ ყველა დოკუმენტი ხელთ ჰქონდათ, მათ შორის უნივერსიტეტში დაშვების დამადასტურებელი დოკუმენტი და „33“ კატეგორიის ვიზა, რომელიც საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამების საფუძველზე გაიცემა. როგორც სტუდენტთა მშობლები აცხადებენ, საქართველოს ხელისუფლება ხშირად ცვლის სავიზო წესებს და აქედან გამომდინარე, ცვლილებებმა გავლენა მოახდინეს იმ სტუდენტების მდგომარეობაზე, რომლებმაც ვიზა ადრე აიღეს.

სტატიაში ნათქვამია, რომ ინდოეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო დაინტერესდა თბილისის აეროპორტში მომხდარი ინციდენტით: მინისტრმა სუშმა სვარაჯმა „ტვიტერში“ დაწერა, რომ ინდოეთის ელჩმა (რომლის რეზიდენცია ერევანში მდებარეობს) ეს საკითხი საქართველოს ხელისუფლებასთან განიხილა.

„THE TIMES OF INDIA“ (ინდოეთი)

„სექსუალური შევიწროება“ ნამდვილად სჯობს... უტვინობას!

არასამთავრობო ორგანიზაციები, წამყვანი ტელევიზიები, ნაციონალური მოძრაობის ნარჩენები უკვე კარგა ხანია, ცდილობენ საზოგადოებას თავს მოახვიონ აზრი, თითქოს საქართველოში ქალებზე ძალადობამ არნახულ მასშტაბებს მიაღწია, თურმე ამ მხრივ, მსოფლიო ქვეყნებს შორის საქართველოში ყველაზე მძიმე მდგომარეობაა. ამჯერად მათ მიზანმიმართულად ახალი სკანდალი წამოიწყეს: ქართველი მამაკაცები ქალებს სექსუალურად ავიწროებენ და ჰოლივუდელი მსახიობების მიერ შემოღებულ ტერმინს „სექსობრივი შევიწროება“ დიდი მონდომებით საქართველოშიც ნერგავენ. ამ სასაცილო ტერმინში, ალბათ, მოიაზრება — თუ ქალს დაჟინებით მიაცქერდი, რაიმე კომპლიმენტი უთხარი, საზოგადოებრივი შეხვედრის ადგილებში ქალს სილამაზე შეუქე, თუ რაიმე იღონე უცნობი მადისმომგვრელი ქალის გასაცნობად ან ეცადე, თუნდაც თანამშრომელი ქალი პაემანზე თეატრში წასვლაზე დაითანხმე, ცუდად არის შენი საქმე...

არასამთავრობო ორგანიზაციებმა გრანტები იშოვონ, ამასთანავე, აშკარად იგრძნობა, რომ ისინი ასრულებენ ნაპრეზიდენტალი სააკაშვილის, ადეიშვილისა და სხვა გადახვეწილი ნაციონალების მითითებებს. ახლახან ერთ-ერთ გადაცემაში აღნიშნეს, რომ საქართველოში 2017 წელს 17 ქალი მოუკლავს ქმრებს და ასეთი რამ თითქოს მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ ხდება!..

მოკლედ, თუ მამაკაცმა ქალს ვერაფერი უთხრა, მაშინ ცოლიც ვეღარ უთხოვია. ამ დროს ქვეყანაში ისედაც უმძიმესი დემოგრაფიული ვითარებაა და მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით, 15 წლისა და უფროსი ასაკის 614 357 კაცი არასოდეს ყოფილა დაქორწინებული, მათ შორის 348 662 მამაკაცი და 265 695 ქალი, ხოლო ყველაზე უფრო ნაყოფიერების ასაკში (20-დან 50 წლამდე) — 238 639 მამაკაცი და 143 834 ქალი, ჯერ კიდევ ცას შეჰყურებენ... ამასთან, არსებობენ და საკმაო რაოდენობითაც, განსაკუთრებით საშუალო ასაკში, მორცხვი მამაკაცები, რომელთაც უძნელდებათ მოპირდაპირე სქესის წარმომადგენლებთან ურთიერთობა და თუ მათ გაბედეს და ქალს რაიმე უთხრეს, უკვე სასწორზე აქვს დადებული თავი...

ახლა ისიც უნდა ითქვას, რომ, თუ მამაკაცმა ქალს ზედმეტად „გადაკრული“ სიტყვა უთხრა, ოჯახის ქალს, მანდილოსანს შეუძლია, ისეთი პასუხი გასცეს, მეორედ ამის გაკეთების ხალისი დაუკარგოს. ნორმალური ქალი ამ ამბავს ახლობლებს (თუ ქმარი ჰყავს, მასაც) არ გაუმხელს — უფრთხილდება ოჯახის სიწმინდესა და ქმრის ავტორიტეტს.

ჰოლივუდის უწიგნური მსახიობები (რამდენიმე წლის წინათ ასეთი სათაურით გამოქვეყნდა სტატია ერთ-ერთ გაზეთში) ახლა თავს იმით ირთობენ, რომ 15-25 წლის წინათ სქესობრივად შეავიწროეს და ახლა პასუხს ითხოვენ. ზოგიერთი ქართველი ქალი ცდილობს, ასეთი აბსურდი თავის სასარგებლოდ გამოიყენოს და უაზროდ ებმება ისეთ გაუგებრობაში, რასაც ნიკა გვარამიას ტელევიზია „რუსთავი-2“ და გარუსთავორებული ტელევიზიები დიდი აღტაცებით უჭერენ მხარს.

ჩვენდა სამწუხაროდ, ქვეყანა დაჭაობებული მედიასაშუალებების მდარე გადაცემების ტყვეობაში აღმოჩნდა. საქართველოში, ფაქტობრივად, ჩამოყალიბდა კასტა ჟურნალისტებისა, რომლებმაც ჩაკლეს სიტყვის თავისუფლება და მიკერძოებული გადაცემებით ცდილობენ საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედებას. ეს ჟურნალისტები განსხვავებულ აზრს ვეღარ იტანენ და სასურველი პასუხის მისაღებად დებატებს უმართავენ მათ მიერვე შერჩეულ სტუმრებს. სპეციალისტები, მეცნიერები, კულტურისა და ხელოვნების მუშაკები საერთოდ გაქრნენ სატელევიზიო არხების ეთერიდან. მათი აზრი არც აინტერესებთ, რადგან დებატებში ვერაფერს დაუპირისპირებენ, მაგრამ თუ ერთი მაინც აღმოჩნდა დებატებში მონაწილეთა შორის განსხვავებული აზრის მქონე, მას მაშინვე გააჩუმებენ — თქვენ სიტყვას ისევ მოგცემთო და ამით მთავრდება ყველაფერი. ამიტომ არის, რომ მაგალითად, მყვირალა ინგა გრიგოლიას გადაცემაში ზოგიერთი სტუმარი დროზე ადრე ტოვებს გადაცემას, არის ერთი გაწევ-გამოწევა, ცნობილი მეცნიერი დედას იგინება, მაგრამ არა გრიგოლიას მისამართით და სხვ.

ტელევიზიები გამიზნულად და თანდათანობით გვაკარგვინებენ ეროვნულ თავმოყვარეობას, სატელევიზიო გადაცემებში დასცინიან პატიოსნებასა და ქალწულობას; სატელევიზიო ეთერი წალეკა უწმაწურმა, უშვერმა სიტყვებმა და გამოთქმებმა, მდარე გემოვნების თურქულმა და ინდურმა ტელესერიალებმა; რეგულარულად უჩვენებენ მკვლელობის, საშინელი წამების, გაუპატიურების, ძალადობის ამსახველ და ადამიანური ურთიერთობებისგან დაცლილ უაზრო ფილმებს; სპეციალურ გადაცემებს უძღვნიან ქალებზე ძალადობას, რათა დაინტერესებულმა

ერთიც უნდა ითქვას: ჩვენი ტელეჟურნალისტიკა ძირითადად წარმოდგენილია ქალებით. „ჯულიეტოვნას“ გარდა, პარადი მიჰყავთ ეკა კვესიტაძეს, ნანუკა ჟორჟოლიანს, მაია ასათიანს, ინგა გრიგოლიას და სხვებს, რომლებიც საშინლად ძალადობენ საზოგადოებრივ აზრზე, თავიანთი პატრონების ნებასურვილს უსიტყვოდ თავს ახვევენ მაყურებელს. როგორც ჩანს, ბევრისთვის ყველაფერს მაინც „მსუქანი ჯამაგირი“ წყვეტს და არა მრწამსი. სამოქალაქო საზოგადოება თავის ადგილზე რომ იდგეს, მათ ტელეეკრანზე არავინ გააჭაჭანებდა, აუცილებლად უნდა ითქვას საყოველთაოდ ცნობილი და მეცნიერულად დადასტურებული ფაქტის შესახებ: რაც უფრო ხშირად ვუჩვენებთ ტელეეკრანზე მკვლელობის, წამების, თვითმკვლელობის, გაუპატიურების სცენებს, რაც უფრო ხშირად მოვაწყობთ ქალებზე მამაკაცების ძალადობის შესახებ გადაცემებს, მით მეტად გაიზრდება მკვლელობის, წამების, თვითმკვლელობის, გაუპატიურების, ქალებზე ძალადობის შემთხვევები. ბრძენი ქართველის ნათქვამია, შეძახილმა ხე გაახმოო! ამიტომ აღვნიშნეთ ზემოთ, რომ შარშან 17 ქალი გახდა ქმრების მსხვერპლი, მაშინ, როდესაც წინა წლებში თითო-ოროლა შემთხვევაც კი იშვიათი იყო. სწორედ ამის შედეგად წლეულს სამ თვეში ქვეყანაში ოჯახური დანაშაულის ჩადენის ბრალდებით 855 პირი დააკავეს, მაშინ, როდესაც წინა შესაბამის პერიოდში გაცილებით ნაკლები ასეთი დანაშაული აღირიცხა.

ურწმუნო თომათა გასაგონად ფრაზებს მოვიხმობ ცნობილი ამერიკელი ფსიქოლოგის დევიდ მაიერსის ნაშრომიდან — „სოციალური ფსიქოლოგია“: „ამერიკის შეერთებული შტატების გამოძიების ფედერალური ბიუროს მონაცემებით, სერიული მკვლელების უმრავლესობა პორნოგრაფიის აქტიური მომხმარებელია“; „ძალადობის შემცველი პორნოგრაფიული გადაცემების ყურება აძლიერებს სისასტიკეს ქალების მიმართ“; „კანადასა და შეერთებულ შტატებში 1957 და 1974 წლებს შორის, ტელევიზიის გავრცელებასთან ერთად, ორჯერ მეტი მკვლელობა მოხდა“; „დაპატიმრებულთა გამოკითხვის შედეგად 10-დან 4-მა პატიმარმა აღიარა, რომ ცდილობდნენ, ჩაედინათ ისეთი დანაშაული, რომელიც ოდესღაც ტელეეკრანზე ნახეს. ამ დროს მოზარდს ნანახი აქვს ძალადობის 100 ათასზე მეტი და 20 ათასი მკვლელობის სცენა“.

თუ პირველ სათქმელს დავუბრუნდებით, ჟურნალისტებმა ამჟამად ახალი საკბილო იშოვეს და როგორც აღვნიშნეთ, დებატებს მართავენ, შეიძლება თუ არა ქალს კომპლიმენტი უთხრა, დაჟინებით უმზირო, თუ დიდი ხნის წინათ ქალისათვის გადაკრული სიტყვა გითქვამს, ამისთვის ახლა უნდა აგო თუ არა პასუხი. განსაკუთრებით ჰოლივუდელი მსახიობი ქალები აქტიურობენ, რომლებიც ცნობილ რეჟისორებს თავის დროზე უკანალს უთამაშებდნენ და ახლა გაახსენდათ, რომ ამ თამაშის შედეგად ყველაფერი ისე სისრულით ვერ მიიღეს, როგორც ჩაფიქრებული ჰქონდათ და ანგარიშის გასწორება მოინდომეს...

მოკლედ, ქართველმა ტელეჟურნალისტმა ქალებმა ეს თემა აიტაცეს და გადაცემებში კაკანი ატეხეს. არადა, უპრიანი იქნებოდა „ჭიპოსნებისთვის“ — გაშიშვლებული ქალებისთვის მიეხედათ, მდიდარ საყვარლებს რომ ეძებენ და მამაკაცებს ოჯახებს უნგრევენ. ისე კი, მამაკაცი მართლა ცვედანი უნდა იყოს, ლამაზი ქალი დაინახოს და თვალი არ გააყოლოს. ბოლოს და ბოლოს, დიდი ვაჟაც კი ამბობდა — „საამო არის საცქერლად, დიაცის უბესავითაო“.

ამჟამად ბევრს საუბრობენ მამაკაცისა და ქალის თანასწორობაზე, მაგრამ მიუხედავად ამისა, „ადამი და ევა“ ერთმანეთისგან მრავალი პარამეტრით განსხვავდებიან, მაგალითად, სიგრძით, წონით, თმის ფერით, რასობრივი კუთვნილებით, სქესის მიხედვით. მამაკაცსა და ქალს შორის განსაკუთრებით დიდია განსხვავება სექსუალურ განწყობასა და ქცევაში. მამაკაცები ხშირად შემთხვევით სექსს უყურებენ, როგორც გართობას, ხოლო ქალებისთვის უპირატესად უაღრესად მნიშვნელოვანია ურთიერთგრძნობის გამოხატულება.

ისევ ამერიკელ ფსიქოლოგს დევიდ მაიერს მივმართოთ:

„ამერიკაში 250 ათას პირველკურსელზე ჩატარებული გამოკვლევის თანახმად, კითხვაზე — „თუ ორს ნამდვილად უყვარს ერთმანეთი, მათთვის ნორმალურია თუ არა სქესობრივი კავშირის დამყარება, თუნდაც ისინი ერთმანეთს ძალიან მოკლე ხანს იცნობენ?“ დადებითად უპასუხა ვაჟების 56 პროცენტმა და გოგონების მხოლოდ 32 პროცენტმა;

— „18-54 ასაკის 3400 ამერიკელმა, შემთხვევითი გამოკვლევის შედეგად კითხვაზე „ხშირად ფიქრობთ თუ არა სექსზე?“ — „ყოველდღე“ ან „დღეში რამდენჯერმე“ — დადებითად უპასუხა ქალების 19 პროცენტმა და მამაკაცების 54 პროცენტმა;

მონაცემები, რომლებიც მიღებულია 177 კვლევის შედეგად 130 ათასი ადამიანის გამოკითხვის საფუძველზე, ამტკიცებს, რომ მამაკაცებისთვის შემთხვევითი სექსი ბევრად უფრო მისაღებია.

გენდერული განსხვავება სექსუალურ განწყობაში გავლენას ახდენს სექსუალურ ქცევაზე. მამაკაცები მთელ მსოფლიოში უმეტეს შემთხვევაში არიან სქესობრივი სიახლოვის ინიციატორები, ვიდრე ქალები. არა მარტო სქესობრივი სიახლოვის, არამედ საყვარელი არსების მოსახიბლად და დასაახლოებლად მამაკაცები დიდ ინიციატივას იჩენენ. „ადამიანის თანამოძმეების მსგავსად, მამრები უმრავლეს ცხოველებში

ერთიც უნდა ითქვას: ჩვენი ტელეჟურნალისტიკა ძირითადად წარმოდგენილია ქალებით. „ჯულიეტოვნას“ გარდა, პარადი მიჰყავთ ეკა კვესიტაძეს, ნანუკა ჟორჟოლიანს, მაია ასათიანს, ინგა გრიგოლიას და სხვებს, რომლებიც საშინლად ძალადობენ საზოგადოებრივ აზრზე, თავიანთი პატრონების ნება-სურვილს უსიტყვოდ თავს ახვევენ მაყურებელს. როგორც ჩანს, ბევრისთვის ყველაფერს მაინც „მსუქანი ჯამაგირი“ წყვეტს და არა მრწამსი. სამოქალაქო საზოგადოება თავის ადგილზე რომ იდგეს, მათ ტელეეკრანზე არავინ გააჭაჭანებდა.

ბევრად აქტიურია სექსუალობის მხრივ და ნაკლებად მომთხოვნი პარტნიორის არჩევაში“ (დევიდ მაიერსი). ასე შექმნა ბუნებამ და მის წინააღმდეგ წასვლა კარგს არაფერს მოიტანს. ეს არც რეალისტურია და არც სიკეთის მომტანი.

„სქესობრივი შევიწროების“ ისეთ ფაქტად აღიარება, როგორსაც გვთავაზობენ, მხოლოდ საზოგადოების განადგურების, საზოგადოების წევრების დაშანტაჟების, ურთიერთდაპირისპირების, საზოგადოებაზე ძალადობის, ჩვენი ცხოვრების წესის შეცვლის, ქართული სულიერების დაკნინების მორიგი მცდელობაა. ამის პირველი მაგალითები უკვე გვაქვს. ამ საქმეში განსაკუთრებით აქტიურობს „რუსთავი-2“.

ახლახან, „რუსთავი-2“-ის არხთან მომხდარი აქციის შემდეგ, მთელი გადაცემები მოეწყო რუბრიკით „ძალადობა „რუსთავი-2“-ის წინააღმდეგ“ მაშინ, როდესაც წლებია, თვით „რუსთავი-2“ არნახულად ძალადობს საზოგადოებაზე, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე. ეს განსაკუთრებით საშიშია მცირერიცხოვანი ერებისთვის. ასეთი თეორიები მიზნად ისახავს გაქრეს განსხვავებები ყველაფერში, შენელდეს ინტერესი ერთმანეთისადმი, თითქოს რახან ქალია, მას იმიტომ ჩაგრავენ.

დღეს ბევრი შორს დგას ეროვნული სატკივრიდან და საქვეყნო საქმეს მხოლოდ საკუთარი ჭუჭრუტანიდან უყურებს. მათი ეროვნული გრძნობები აშკარად ყალბია და ისინი აკაკი წერეთლის „პატრიოტის აღსარების“ პერსონაჟს უფრო მოგვაგონებენ, რომელთაც არ შეუძლიათ შიშხინა მწვადის ყურება ისე, თუ პირი პატრიოტული ნერწყვით არ აევსოთ. მათ „საკუთარი, საპირადო ხაზი და ლარი გაჰყავთ ცხოვრებაში და საქმის მაგიერ ენას ატრიალებენ“.

თუ ვაჟა-ფშაველას დავესესხებით, „დღევანდელი პარტიობა სულ სხვა ჯურისაა, სრულიად სხვა იერისა და ფერისა, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ სრულიად უპრინციპოა, უაზრო, წვრილმანი... იმათში საქვეყნო აზრს ვერა ვხედავ... ჩვენ რაც უფრო გვეჭირება, რაც უფრო გვეწამლება, იმაზე ყურს ვიყრუებთ და აქეთ-იქით კი ღობე-ყორეს მოვეკიდებით“. სწორედ ღობე-ყორეს მოკიდებაა სქესობრივი შევიწროების შესახებ ერთი ალიაქოთის ატეხვა, როდესაც ქვეყანა უამრავი გადაუწყვეტელი უმძიმესი ეროვნული პრობლემების წინაშე დგას. დიდი ფილოსოფოსობა არ სჭირდება იმას, რომ როდესაც საერთაშორისო ორგანიზაციები უცხოეთიდან ფინანსდება, ისინიც მათ მიერ გაცემული დირექტივებით ხელმძღვანელობენ, უცხოურ გრანტებს ირიგებენ და სამშობლოს გვინადგურებენ. ჯერ კიდევ 2004 წელს „ღია საზოგადოების“ ინსტიტუტის ქართულმა ფილიალმა აღნიშნა თავისი არსებობის ათი წლისთავი. ამ წლებში ჯორჯ სოროსმა გამოუყო ფონდის ქართულ განყოფილებას 40 მილიონი დოლარი, აზერბაიჯანისას — 20 მილიონი, ხოლო სომხეთისას — ოდნავ ნაკლები! განსაკუთრებით გულუხვობას იჩენდა იგი საქართველოს მიმართ. ეს არც არის გასაკვირი, რადგან იგი უშუალოდ მონაწილეობდა საქართველოს ხელისუფლების შეცვლაში და შემდეგ უკვე ღიად უწევდა ფინანსურ დახმარებას საქართველოს სამარცხვინო პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს. საერთოდ, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები, მათ შორის, ამჟამინდელი სახალხო დამცველი ნინო ლომჯარია მაგონებს გასული საუკუნის 30-იანი წლების პოლიტკომისრებს, რომლებსაც დამბაჩის ჩამოკიდება აკლიათ. ისე კარგი სანახავი იქნება დამბაჩაჩამოკიდებული ლომჯარია, რომელმაც ამჟამად სასამართლოს ფუნქციაც შეითავსა — ენა აიქაფა და კერძო ინტერესებიდან გამომდინარე, ჰგონია ადამიანის სამსახურიდან დათხოვნის უფლებაც გააჩნია, მაშინ, როდესაც მას მხოლოდ შეუძლია გაამწვავოს საკითხი.

ქალებზე ძალადობის საკითხების განხილვისას აუცილებლად უნდა ითქვას გენდერული კვოტირების კანონპროექტის შესახებ, რომელიც ახლახან საქართველოს პარლამენტში განხილვისას ჩავარდა. ეს აბსურდული კანონპროექტი ითვალისწინებს კვოტების გამოყოფას ქალებისთვის, რათა, გინდა თუ არა, ქალების გარკვეული რაოდენობა აუცილებლად უნდა იყოს პარლამენტში. კერძოდ, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი კანონპროექტი არჩევნებზე ისეთი პროპორციული სიის წარდგენას გულისხმობდა, რომლის მიხედვითაც სიაში ყოველი მეორე აუცილებლად ქალი უნდა ყოფილიყო. პარლამენტარობა და საერთოდ, პოლიტიკური მოღვაწეობა საკმაოდ მძიმე ტვირთია და ძალად მაცხონეებმა ეს ტვირთი ქალებს არ უნდა აკიდო. ისე კი, საქართველოში არც ადრე და არც არასოდეს, ქალისთვის ხელი არ შეუშლიათ, ემუშავათ ხელისუფლებაში, სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობებზე, ყოფილიყვნენ პარლამენტის წევრები. გაუგებარია, ახლა რატომ უნდა დავაპირისპიროთ ხალხი ერთმანეთთან. თვით ამერიკის შეერთებულ შტატებში რამდენიმე ხნის წინათ ათასობით უმსხვილესი კომპანიის უმაღლეს ხელმძღვანელობაში ქალების მხოლოდ 3 პროცენტი მუშაობდა, საზღვაო კორპუსში — 4 პროცენტი. სამაგიეროდ, მომვლელების 97 და მდივნების 99 პროცენტი ქალი იყო. დიდად ეს მაჩვენებლები არც ამჟამად შეცვლილა.

საქართველოში ყველა ქალს აქვს უფლება, იმუშაოს ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში, იყოს არჩეული პარლამენტარად და ამ უფლებას მათ არაფერი უზღუდავთ. ამჟამად მინისტრების 20 პროცენტი ქალია, ქალები პარლამენტშიც მუშაობენ ხელმძღვანელ თანამდებობებზე და საკმაოდ წარმატებითაც, მაგრამ მხედველობაში ისიც უნდა მივიღოთ, რომ თვით სამუშაოს ხასიათი ზოგჯერ მეტ-ნაკლებად განსაზღვრავს სქესის მიხედვით დასაქმებულთა რაოდენობას. ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ქალების მთავარი დანიშნულება ოჯახის შექმნა და ბავშვების აღზრდაა, ქალი ოჯახის ბურჯია, ზუსტად ასე აღნიშნავდნენ დიდი მოაზროვნეები, ასე ამბობდა დიდი ილიაც და ღმერთმა ნუ მოუშალოს ქართველ დედას ოჯახის ბურჯობა. ზოგიერთი ქალბატონი შესანიშნავად უთავსებს ერთმანეთს ოჯახის ბურჯობასაც და ხელისუფლების მაღალ ეშელონებში მუშაობას, პარლამენტარობას.

ღმერთმა გვიმრავლოს ისეთი ქალბატონები, რომლებსაც კვოტები არ სჭირდება.

ანზორ თოთაძე,
პროფესორი

კულტურათა დიალოგი თარგმანში

14 აპრილს „წიგნის სახლში ბახტრიონზე“...

ასოციაცია „კულტურათა დიალოგი XXI“-ს (პრეზიდენტი — ვალერი ასათიანი) ერთ-ერთი პრიორიტეტია კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა და განვითარება. ამ მიზნით ასოციაციამ გასული წლის ნოემბრიდან დაიწყო ტრეინინგული ხასიათის მრავალპლანიანი ლექციასემინარების სერია (პროექტის ხელმძღვანელი — მერი ჯაფარიძე), რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია. სალექციო კურსები 2018 წელსაც გაგრძელდება და იქნება ფართო სპექტრის მომცველი. ლექცია-დისკუსიებს წარუძღვებიან ღვაწლმოსილი მოღვაწეები, ცნობილი მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების ცნობილი მოღვაწეები, წარმატებული სპეციალისტები.

ამჯერად, 14 აპრილს, 17 საათზე, „წიგნის სახლში ბახტრიონზე“ (მისამართი: ბახტრიონის ქ. 11 ბ), შედგება ლექცია სახელწოდებით „კულტურათა დიალოგი თარგმანში — სამოგზაური ჟანრის ნაწარმოებების თარგმნის თავისებურებები“.

მომხსენებლები არიან განათლების მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს რამდენიმე უნივერსიტეტის პროფესორი, მსოფლიო ბანკის და სხვა საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების მთარგმნელ-თარჯიმანი, მთარგმნელთა საერთაშორისო საბჭოს წევრი, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელი **ლელა აბდუშელიშვილი** და საერთაშორისო ექსპერტ-კონსულტანტი **მერი ელენ ჩეთვინი** (აშშ).

ლიტერატურა ადამიანებთან, საზოგადოებასთან და კულტურასთან სოციალური და კულტურული ურთიერთობების სარკეა. როდესაც ლიტერატურული ნაწარმოებების თარგმნა ხორციელდება, მკითხველი მასში ნახსენები ადამიანებისა თუ ერის სოციალურ და კულტურულ პირობებს ეზიარება. ვინაიდან კულტურათა შორის დიალოგს ესაჭიროება შესაბამისი არხი, ლიტერატურა ამ დიალოგის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა. თუ სხვა ქვეყნის კულტურის გაცნობა გვსურს, უნდა მოხდეს ლიტერატურული ნაწარმოების ორიგინალში ან მისი თარგმანის წაკითხვა. თარგმანი კი კულტურათა შორის დიალოგის საწარმოებლად არაჩვეულებრივი საშუალებაა. მოხსენება შეეხება სამოგზაურო ჟანრის ლიტერატურის თარგმნის თავისებურებებს და პროფესორ ლელა აბდუშელიშვილის მიერ **მანანა დუმბაძის** „ავღანეთის დღიურების“ თარგმანის ანალიზს კულტურათა დიალოგის ჭრილში.

ლექცია-სემინარების კურსის გამართვაში ასოციაცია „კულტურათა დიალოგი XXI“-ს პარტნიორები არიან: ბადიაურის აგროსამრეწველო სავაჭრო კომპლექსი, კაფე-გალერეა „წიგნის სახლი ბახტრიონზე“, საქართველოს კულტურის ფონდი, რესტორანი „თბილისის მუხამბაზი“, საინფორმაციო მხარდამჭერები: საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, TV პირველი, მედია ჰოლდინგი „რეპორტიორი“, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“.

დამატებითი ინფორმაციის გაცნობა შეესაძლებელია ასოციაცია „კულტურათა დიალოგი XXI“-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.diacult.ge

ქუთაისიდან ყველაზე ზრდადი TOP-10 ავიამიმართულება

ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტიდან ბოლო პერიოდში ყველაზე ზრდად ავიამიმართულებად ლარნაკა სახელდება.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ ინფორმაციით, ბოლო 3 თვის განმავლობაში ლარნაკას მიმართულებაზე მგზავრთნაკადი 199%-ითაა გაზრდილი. რაც შეეხება მემინგენის მიმართულებას, ზრდამ 64%-ი შეადგინა. „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ ინფორმაციით, **ტოპ ზრდადი ავიამიმართულებები მგზავრთნაკადის მიხედვით, 2018 წლის პირველი 3 თვის მანძილზე, ასე გამოიყურება: ლარნაკა — 199%; მემინგენი — 64%; დორტმუნდი — 59%; სალონიკი — 55%; ვილნიუსი — 30%; მილანი — 20%; მოსკოვი — 17%; ბერლინი — 14%; ბუდაპეშტი — 9%; კატოვიცე — 9%.**

აღსანიშნავია, რომ 2018 წლის პირველ კვარტალში ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში მგზავრთნაკადის 15%-იანი ზრდა აღირიცხა. 2018 წლის იანვარ-მარტში ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი 78 ათას 20 მგზავრს მოემსახურა, 2017 წლის ანალოგიურ პერიოდში კი — 67 ათას 892 მგზავრს. 2016 წლის იანვარ-მარტში კი ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტმა 37 ათას 711 მგზავრი გაატარა.

1 ივლისიდან ბათუმში აკუსტიკურ ხმაურზე კონტროლი მკაცრდება

1 ივლისიდან აკუსტიკურ ხმაურზე მონიტორინგს ბათუმის მერია განახორციელებს. საკითხთან დაკავშირებით საინფორმაციო შეხვედრა ბათუმის მერმა გამართა. შეხვედრაზე ლაშა კომახიძემ მიმდინარე წლის აპრილის თვეში კანონში შესული ცვლილებები ქალაქში მოქმედი კაფე-რესტორნებისა და სასტუმროების მენეჯერებს გააცნო. შეხვედრას აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის, გარემოს დაცვის ინსპექციისა და სხვა უწყებების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ხმაურის მონიტორინგი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესული ცვლილებების საფუძველზე განხორციელდება, რის მიხედვითაც თვითმმართველობის ორგანოებს ენიჭებათ უფლებამოსილება, ადგილზე შეადგინონ საჯარიმო ქვითარი შემდეგი დარღვევების შემთხვევაში:

დღის, ან ღამის საათებში აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტება;

ღამის საათებში პიროტექნიკური ნაკეთობის გამოყენება;

შესაბამისად, პირველი ივლისიდან შინაგან საქმეთა სამინისტრო არსებულ ბაზებსა და აღჭურვილობას მუნიციპალიტეტის უფლებამოსილ ორგანოებს გადასცემს;

დარღვევის შემთხვევაში, ფიზიკური და იურიდიული პირები დაჯარიმდებიან.

გაეროს აუფეთქებელ საბრძოლო მასალებთან დაკავშირებულ მონაცემთა ბაზაში 82 ქვეყანა და ტერიტორიაა რეგისტრირებული, რომელთა მცხოვრებლებსაც წარსულის ნაღმები და ბომბები ყოველდღიურად მომაკვდინებელ საფრთხეს უქმნის. ასეთ საბრძოლო მასალებს ქალაქების გაფართოებასთან ერთად, ზოგჯერ კი უბრალოდ სამწუხარო გარემოებათა გამო პოულობენ. ხშირად ეს შემთხვევით ხდება, რადგან იმ ზონების აღმოჩენა, სადაც ასეთი საბრძოლო მასალაა, ძალიან რთულია, განსაკუთრებით ისეთ ქვეყნებში, სადაც ამ პრობლემის კვალიფიციურად გადაწყვეტისთვის კადრების და სხვა რესურსების დეფიციტია. გაეროს სტატისტიკის თანახმად, წარსულის ომების აუფეთქებელი საბრძოლო მასალებისგან ყოველწლიურად მსოფლიოში 20 ათასამდე ადამიანი იღუპება. BBC-ის ცნობით, ეს დიდწილად ისეთ ქვეყნებში ხდება, რომლებმაც კონფლიქტი ახლახან გადაიტანეს, მაგრამ მაღალია რისკი განვითარებული ქვეყნებისთვისაც. ანალოგიური პრობლემაა საქართველოს ოკუპირებულ და კონფლიქტის მიმდებარე ტერიტორიებზე.

რომელ ქვეყნებშია დამარხული ყველაზე მეტი აუფეთქებელი ბომბი?

ლაოსი, ანგოლა

ლაოსი **თვალსაჩინო მაგალითია. აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ამ ქვეყანას 1964-1973 წლებს შორის, ინდოჩინეთში კამპანიის ფარგლებში, მასობრივად ბომბავდა ამერიკის შეერთებული შტატები.** ამერიკის სამხედრო არქივების თანახმად, იმ პერიოდში ლაოსზე დაახლოებით ორი მილიონი ტონა საბრძოლო მასალა ჩაყარეს, მათ შორის 270 მილიონი მცირე ბომბი, რომლითაც კასეტურ საბრძოლო მასალებს აწყობენ. საერთაშორისო ორგანიზაციების ინფორმაციით, 80 მილიონი ასეთი პატარა ბომბი არ აფეთქებულა. კონფლიქტის დასრულებიდან 40 წლის შემდეგაც ეს ბომბები ადამიანებს კლავს და ასახიჩრებს. არასამთავრობო ორგანიზაცია Mines Advisory Group-ის კვლევის თანახმად, 1974 და 2008 წლებს შორის ლაოსში ამ მიზეზით დაშავდა ან დაიღუპა დაახლოებით 40 ათასი, დღეში საშუალოდ 300 ადამიანი. შემთხვევათა 40%-ს ბავშვები ემსხვერპლნენ.

ამასთან, ლაოსის მშპ-ს დაახლოებით 50% სოფლის მეურნეობაზე მოდის: ფერმერებმა მიწაზე უნდა იმუშაონ და იმის გამო, რომ ეს აუფეთქებელი საბრძოლო მასალა თითქმის ყველა ლაოსურ პროვინციაშია, ფერმერებს, ფაქტობრივად, „რუსული რულეტკის“ თამაში უწევთ.

ანალოგიური პრობლემაა ანგოლაში. აშშ-ის სოფლის მეურნეობის სამინისტროს შეფასებით, 2015 წელს ანგოლას ჰქონდა რესურსი კონტინენტზე სოფლის მეურნეობის წარმოების მხრივ ლიდერი გამხდარიყო. მაგრამ 27-წლიანი სამოქალაქო ომის (1975-2002) შედეგად იქ დღეს 20 მილიონი აუფეთქებელი ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმია და სოფლის მეურნეობისთვის ვარგისი მიწის დიდი ტერიტორიები უსაფრთხო არ არის. ანგოლა, რომელიც მარცვლეულის ძირითადი სახეობებით (ხორბლის გარდა) საკუთარ თავს უზრუნველყოფდა, დღეს სურსათის იმპორტიორი ქვეყანაა.

ევროპა

ევროპულ **ქალაქებს მსგავსი პრობლემები არა აქვთ, მაგრამ წარსული კონფლიქტების შედეგებთან გამკლავება მათაც უწევთ.** მაგალითად, 12 თებერვალს, დაახლოებით 16 ათასმა მგზავრმა, რომელიც ლონდონ-სიტის აეროპორტიდან უნდა გაფრენილიყო, გეგმები შეცვალა. აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე სამუშაოების დროს ტემზაში მეორე მსოფლიო ომის პერიოდის 500-კილოგრამიანი ბომბი იპოვეს.

2015 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, მარტო დიდ ბრიტანეთში შეიძლება 21 ათასი აუფეთქებელი ბომბი იყოს. ამავე წელს ლონდონში 9 ბომბი იპოვეს. მეორე მსოფლიო ომის დროს, გერმანიის საჰაერო სამხედრო ძალებმა მარტო ლონდონზე დაახლოებით 17 ათასი ტონა საბრძოლო მასალა ჩაყარეს.

2017 წლის 31 აგვისტოს გერმანიაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ყველაზე დიდი ევაკუაცია განხორციელდა. ფრანკფურტში სამშენებლო ქვაბულში 1800-კილოგრამიანი ბრიტანული ბომბი იპოვეს. 1,5 კვადრატული კილომეტრის ფართობიდან 70 ათასზე მეტი ადამიანის გაყვანა გახდა საჭირო. მანამდე ორი დღით ადრე აუფეთქებელი საბრძოლო მასალა იპოვეს მშენებლებმა გერმანიის კიდევ ერთ ქალაქში, კობლენცში. ქალაქიდან 20 ათასზე მეტი მცხოვრების ევაკუაცია განხორციელდა. სულ ახლახან, 8 აპრილს, დასავლეთ გერმანიაში, ქალაქ პადერბორნში ასევე მეორე მსოფლიო ომისდროინდელი ბომბის აღმოჩენას 26 ათასი ადამიანის ევაკუაცია მოჰყვა. ბომბი სამშენებლო სამუშაოების დროს აღმოაჩინეს.

გერმანიის ხელისუფლებისა და სამხედრო-ტოპოგრაფიული კვლევების თანახმად, გერმანიის მიწაზე ყოველ წელს პოულობენ დაახლოებით 2 000 ტონა ფეთქებადსაშიშ საშუალებებს. მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანიის თავდასხმის დროს ბრიტანეთზე 74 ათასი ტონა საბრძოლო მასალა ჩაყარეს, მაგრამ მოკავშირეების პასუხი კიდევ უფრო სასტიკი იყო.

აშშ-ის სმიტსონის ინსტიტუტის შეფასებით, 2,7 მილიონი ბომბიდან, რომელიც მოკავშირეებმა ევროპაში გამოიყენეს, ნახევარი გერმანიის წინააღმდეგ მიმართეს, მაგრამ მათგან ყოველი მეათე არ აფეთქდა. წლების გასვლასთან ერთად, ჭურვები კიდევ უფრო საშიში ხდება, რადგან მათში მიმდინარე მექანიკური და ქიმიური რეაქციები მათ მოქმედებას უფრო არასტაბილურს და არაპროგნოზირებადს ხდის: 2000 წლიდან გერმანიაში შემთხვევითი აფეთქებებისგან 11 გამნაღმველი დაიღუპა, მათგან სამი — ქალაქ გოტინგენის ბაზრობაზე აფეთქების დროს, თანაც 1000-კილოგრამიან ბომბს სპეციალისტები არც მიკარებიან.

ექსპერტების თქმით, ზოგიერთი ბომბი სპონტანურად ფეთქდება. საფრანგეთსა და ბელგიაში მეორე მსოფლიო ომისდროინდელი სახიფათო მასალების ძებნა ცალკეულ ტრადიციად იქცა. მას „რკინის მოსავალი“ უწოდეს. ფერმერები მიწის დამუშავების დროს აუფეთქებელ ჭურვებს და ტყვიებს ეძებენ. პირველი მსოფლიო ომის დროს, ორივე ეს ქვეყანა დასავლეთის ფრონტის ცენტრში იყო. ამ რეგიონს, ომის დროს გამოყენებული 1,45 მილიარდი ჭურვიდან, ყველაზე მეტი საბრძოლო მასალა „ხვდა წილად“. მათგან ბევრი ქიმიური შემადგენლობის იყო. ამას მოჰყვა მეორე მსოფლიო ომიც.

საფრანგეთის მთავრობის ცნობით, 1946 წლიდან ქვეყანაში 600-ზე მეტი გამნაღმველი დაიღუპა. ბელგიაში კი დღემდე მოქმედებს აუფეთქებელი საბრძოლო მასალებით მიყენებულ ზიანთან დაკავშირებული საკომპენსაციო სქემა. ამ სქემით ბოლო წლებში გადახდილია 140 ათასი დოლარის კომპენსაცია, სხვადასხვა „რარიტეტით“ მიყენებული ფერმერული მოწყობილობების დაზიანებისთვის.

ბალკანეთი

ბალკანეთში **ასეთი მემკვიდრეობა ყოფილ იუგოსლავიაში 1990-იანი წლების სამოქალაქო ომებმა დატოვა.** მაგალითად, ბოსნიას „ევროპის ყველაზე დანაღმულ ქვეყანას“ უწოდებენ. საერთაშორისო წითელი ჯვრის მონაცემებით, მის ტერიტორიაზე, სულ ცოტა, 80 ათასი აუფეთქებელი საბრძოლო მასალაა, დიდწილად ნაღმები. სტატისტიკის თანახმად, ომის დასრულების შემდეგ 1995 წელს ბოსნიაში მსგავს ინციდენტებში დაიღუპა ან დაშავდა 1500 ადამიანზე მეტი.

ლათინური ამერიკა

2017 წელს **კოლუმბიამ აჯანყებულ დაჯგუფებასთან „კოლუმბიის რევოლუციური შეიარაღებული ძალები“ სამშვიდობო შეთანხმება გააფორმა, რითაც დასრულდა 50-წლიანი ომი, რომელმაც 220 ათასი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა.** თუმცა ტერიტორიის განაღმვა ქვეყნისთვის დღემდე პრობლემაა. 1990-იანი წლებიდან დაღუპული ან დაჭრილია 11 ათასზე მეტი კოლუმბიელი, რომელიც ნაღმზე აფეთქდა. ამ მაჩვენებლით კოლუმბია მეორე ადგილზეა ავღანეთის შემდეგ. მიუხედავად დიდი ძალისხმევისა, ქვეყნის 1120 ქალაქიდან 507 ქალაქში ნაღმების საფრთხე რჩება.

ავღანეთი

1979 წლის შემდეგ, 30 წლის განმავლობაში მიმდინარე ომის გამო, ავღანეთში უამრავი ნაღმია. განაღმვით სამუშაოებზე საერთაშორისო თანამეგობრობა 1988 წლიდან მუშაობს, თუმცა პროცესში მონაწილე ერთ-ერთი არაკომერციული ორგანიზაციის, Halo Trust-ის მონაცემებით, ავღანეთში ჯერ კიდევ რჩება 570 კვადრატული კილომეტრის დანაღმული ტერიტორია. ბოლო მონაცემებით, 1979 წლიდან 2015 წლამდე ავღანეთში აუფეთქებელ საბრძოლო მასალასთან დაკავშირებული 23,7 ათას ინციდენტზე მეტი მოხდა.

საქართველო

საქართველოში, რომელმაც უახლეს ისტორიაში რამდენიმე სამოქალაქო კონფლიქტი, ხოლო 2008 წელს რუსეთთან ომი გადაიტანა, აუფეთქებელი საბრძოლო მასალის გაუვნებელყოფაში არაკომერციული საერთაშორისო ორგანიზაცია Halo Trust-ი ეხმარება, რომლის დონორები არიან სხვადასხვა ქვეყნები, მათ შორის იაპონია, დიდი ბრიტანეთი და ამერიკის შეერთებული შტატები. ბოლო ინფორმაციით, თებერვალში, Halo Trust-მა საქართველოში, 585, 000 კვადრატული მეტრის ტერიტორიის აუფეთქებელი საბრძოლო მასალისაგან გაწმენდითი სამუშაოებისათვის იაპონიის მთავრობისგან 400 ათასი დოლარის გრანტი მიიღო. ლაპარაკია შიდა ქართლის სოფლების დვანისა და ძევერას, ასევე სამეგრელო-ზემო სვანეთში ანაკლიის ტერიტორიების გაწმენდაზე.

Halo Trust-ი შიდა ქართლში 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ მუშაობს. ორგანიზაცია, საქართველოში საბრძოლო მასალებით დაბინძურებულ ტერიტორიებად კონფლიქტის ზონების და მიმდებარე ტერიტორიების გარდა, მოიხსენიებს ყოფილ სამხედრო ბაზებს და ყოფილ სამხედრო საწრთვნელ ტერიტორიებს.

ორგანიზაცია წერს, რომ 2009 წლის ბოლოსთვის, შიდა ქართლის ტერიტორია წარმატებით გაიწმინდა, 2009 წლის შემდეგ კი მათ გაწმინდეს ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის ეგრეთ წოდებული ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარე მიწა; 2010-2014 წლებში — დანაღმული ტერიტორები, სულ ცოტა, 4 ყოფილი საბჭოთა სამხედრო ბაზის ირგვლივ; 2014 წლიდან კი — სამხედრო პოლიგონის ტერიტორია იოანე ნათლისმცემლის და დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსის მიმდებარედ, რომელსაც ყოველწლიურად ათასობით ტურისტი სტუმრობს.

HALO-მ აფხაზეთის ტერიტორიაზეც იმუშავა და 2011 წელს ის ნაღმებისაგან თავისუფალ რეგიონად გამოაცხადა, თუმცა ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ ძველი საბრძოლო მასალები დღემდე რჩება ამ რეგიონის პრობლემად. მათი ნაწილი სასოფლო-სამეურნეო მიწების ტერიტორიაზეა შემორჩენილი, ნაწილს კი მოსახლეობა ომის მოსაგონრად ინახავს, თუმცა ბოლო წლებში ადამიანებმა გააცნობიერეს მათგან მომავალი საფრთხე და სანდო შუამავლების საშუალებით ცდილობენ ასეთი მასალებისაგან გათავისუფლებას.

უცნობია, თუ რამდენი ადამიანი დაიღუპა ან დაშავდა საქართველოში მსგავსი ინციდენტების დროს 1990-იანი წლების დასაწყისიდან დღემდე. ასეთი სტატისტიკა ოფიციალურ უწყებებს საქართველოში არა აქვთ.

https://imedinews.ge

ბოლო დროს, დღე არ გავა, რომ მასობრივი ინფორმაციის უკლებლივ ყველა საშუალებამ, ქალების მიმართ მამაკაცების მიერ სექსუალურ მეძიებლობაზე, ანუ ხარასმენტზე რაიმე ძველი, ან ახალი ამბავი არ მოყვეს, ანდა ვინმეს კომენტარი, ან რაიმე პიკანტური ფოტო არ გამოაქვეყნოს. ამ აშკარად მღვრიე ნაკადში ხშირია სიმართლე, თუმცა შეუძლებელია მტყუან-მართალის დადგენა, — მიდი და იმარჩიელე, რამდენიმე წლის წინათ მართლა ჰქონდა თუ არა სექსუალურ მეძიებლობას ადგილი, მით უფრო, თუ არც რაიმე სარწმუნო მტკიცებულება და არც სანდო მოწმე არ არსებობს, მხოლოდ „მსხვერპლის“ სიტყვებია „მოძალადის“ საპირისპიროდ. განა შეიძლება ამ ვითარებაში სამართლიანი საზოგადოებრივი ვერდიქტის გამოტანა, სამართლებრივ ასპექტს თავი რომც დავანებოთ?!

ისიც კარგადაა ცნობილი, რომ ქალების მიმართ სექსუალური მეძიებლობა არახალია, ეს მოვლენა ოდითგანვე, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროიდან იყო „მიღებული“ უმაღლესი პარტიული თუ სახელმწიფო ნომენკლატურის წარმომადგენლებში, თუმცა კი ბევრი რამ აშკარად ჭორი და მონაჩმახია, მაგრამ ბევრიც მეტ-ნაკლებად შეესაბამება სიმართლეს.

ბერიას ქალები

მაგალითად, აშკარად „მითების სფეროდანაა“ ლევ ტროცკის მიერ „საკავშირო მამასახლისად“ წოდებული **მიხეილ კალინინის** „სექსუალურად დაუოკებელი ტიტანობის“ ამბავი, რომლის „კაზანოვობის“ პირველი მსხვერპლი თითქოსდა ოპერეტის დამწყები, მცირეწლოვანი მსახიობი **ტატიანა ბახი** გახდა. ამ ამბის დაწვრილებით მოყოლას არ შევუდგებით, მაგრამ დოკუმენტურად დადასტურებულია, რომ ყველაფერი თითქმის ანეკდოტის დონეზეა იმ ფაქტის ჩათვლითაც კი, თითქოს იოსებ სტალინმა კალინინს „საკავშირო ვაცი“ უწოდა. ის კი ნამდვილად სიმართლეა, რომ 1938 წელს კალინინის ცოლი დააპატიმრეს და 15 წელი მიუსაჯეს.

მიხეილ კალინინი

ტატიანა ბახი

სულ სხვა „ჩამოსხმისა“ იყო კრემლის „სამეურნეო კომენდანტი“ **აბელ ენუქიძე,** რომელიც დიდ თეატრსაც კურირებდა. იგი, „მორალური და ყოფითი გახრწნის“ ბრალდებით 1935 წელს პარტიიდან გარიცხეს, ამის მიზეზი ბალეტის მოცეკვავე ქალიშვილებით უზომო გატაცება გახდა, ხოლო ორი წლის შემდეგ — დახვრიტეს. მისი პირველი ცოლის ნათესავი **მარიამ სვანიძე** წერდა, რომ აბელ ენუქიძე უგარყვნილესი, ეროტიულად არაჯანსაღი კაცი იყო, რომელიც თავადაც აცდუნებდა და ყიდულობდა ქალიშვილებს, სულ ნორჩ 9-11 წლის მოზარდებსაც კი, თან ოღრაშობდა კიდეც.

განსხვავებული ყაიდის კაცი იყო სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრი, პოლიტბიუროს წევრი, საბჭოთა კავშირის მარშალი და სოციალისტური შრომის გმირი **ლავრენტი ბერია**. არადა, ოფიციალური წყაროს ცნობით, როცა 1953 წელს იგი დააპატიმრეს, გამომძიებლები მის მიერ ქალებისა და არასრულწლოვნების გაუპატიურების მრავალრიცხოვანი შემთხვევების დამადასტურებელი ჩვენებების მიღებას კი ცდილობდნენ, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწიეს და საბრალდებო დასკვნაში დანაშაულის ზოგადი ფორმით ჩამოყალიბებას დაყაბულდნენ.

ფაქტები კი იმას მოწმობენ, რომ ლავრენტი ბერიას ერთჯერადი სექსუალური კონტაქტები უფრო იტაცებდა, თუმცა ზოგჯერ ხანგრძლივი გატაცებებიც ჰქონია. სექსუალურ თავგადასავლებში მისი შეუცვლელი დამხმარეები იყვნენ პირადი დაცვის უფროსი **რაფაელ სარქისოვი** და მისი მოადგილე **სარდიონ ნადარაია**. იგი ქალებს ფეხით გასეირნების, ან მანქანით გადაადგილების დროს არჩევდა, მათ ვინაობის დადგენას და შემდგომ მომავალი „ერთჯერადი ხარჭების“ მიყვანას თავის ხელქვეითებს ავალებდა.

მისი ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული „სასიყვარულო“ ამბავი **ვალენტინა (ლალა) დროზდოვასთან** ოთხწლიან თანაცხოვრებას უკავშირდება. 1950-53 წლებში იგი ფუფუნებაში ცხოვრობდა შს მინისტრის მოადგილის, უწყების კადრების მთავარი გამგებლის **ბორის ობრუჩნიკოვის** აგარაკზე და ქალიშვილს ზრდიდა, რომელიც 1950 წელს ლავრენტი ბერიასგან გააჩინა. სწორედ იქ მიაგნეს მას გამომძიებლებმა, რომლებიც ბერიას საქმეს იძიებდნენ, რის შედეგადაც დროზდოვამ სსრ კავშირის გენერალური პროკურორის სახელზე განცხადება დაწერა, სადაც ნათქვამი იყო, რომ დედის ავადმყოფობის გამო მეზობლების მეთვალყურეობის ქვეშ დარჩენილთან ერთხელ ვილაც პენსნეიანმა მოხუცმა (ბერია კი იმხანად 54 წლისა იყო), რომელსაც უშიშროების სამსახურის პოლკოვნიკი ახლდა, ქუჩაში უტიფრად თვალიერება დაუწყო, მას შეეშინდა და გაიქცა, თუმცა კაცი სახლამდე მიჰყვა. მეორე დღეს მათთან ის პოლკოვნიკი მივიდა, რომელიც, როგორც შემდეგ გაირკვა, სარქისოვი აღმოჩნდა, რომელმაც იგი უცხო სახლში მოტყუებით წაიყვანა და ლაპარაკი დაუწყო, რომ დედამისის შველა მხოლოდ დიდ და კეთილ კაცს შეეძლო, რომელსაც ძალიან უყვარს ბავშვები და ყველა სნეულს შველის. 1949 წლის 7 მაისის საღამოს 5-6 საათზე იქ პენსნეიანი მოხუცი, ანუ ბერია მივიდა, რომელმაც ძალიან ტკბილად დაუწყო ლაპარაკი, რასაც 16 წლის გოგონამ გულწრფელად დაუჯერა. ამის შემდეგ ბერიამ საძინებელ ოთახში შეიყვანა და გააუპატიურა. ქალიშვილი იქ სამ დღეს დარჩა, ღამეებს ბერიასთან ატარებდა, დღისით სარქისოვი ყარაულობდა.

„ხალხის მტერი მხილებულია, მან ბავშვობისა და სიყმაწვილის სიხარული, ყველაფერი კარგი წამართვა, რაც საბჭოთა ახალგაზრდის ცხოვრებაშია. მისი ყველა ბოროტმოქმედების, ბავშვების გამრყვნელის მორალური სახის გარჩევისას გთხოვთ, გაითვალისწინოთ ყოველივე ზემოთ ნათქვამი. ვალენტინა დროზდოვა, 1953 წლის 11 ივლისი“.


აბელ ენუქიძე

ასეთი განცხადება ნებისმიერ იურისტს უამრავ კითხვას აღუძრავს: ოთხი წლით დაგვიანებული ჩივილი ტყუპისცალივით ჰგავს ჰოლივუდის იმ ვარსკვლავთა დაგვიანებული „სამართლის“ ძებნას, რომელიც ბევრს ჭირად ექცა და რომელთა არანაირი მტკიცებულება არ არსებობს. გაუპატიურების დამადასტურებელი პირის ან ფაქტის მონახვა „მსოფლიოში ყველაზე ჰუმანურმა“ საბჭოთა სასამართლომაც ვერ შეძლო, თუმცა კი თავად ბერია დროზდოვასთან კავშირს კი აღიარებდა, რადგან მას მეორე ცოლად თვლიდა, მაგრამ გაუპატიურებას სასტიკად უარყოფდა.

ვალენტინა (ლალა) დროზდოვა

დროზდოვა ქალიშვილთან ერთად მინისტრის მოადგილის აგარაკიდან გამოასახლეს, მაგრამ „ლოიალობის“ სანაცვლოდ ბერიას ნაჩუქარი ბინა გორკის (ამჟამინდელი ტვერსკაია) ქუჩაზე დაუტოვეს.

დაცვის უფროსის რაფაელ სარქისოვის ჩვენებით, ლავრენტი ბერია ქალებს სხვა ხერხითაც, კერძოდ, მის სახელზე მიღებულ წერილებსა და დეპეშებში მითითებული ცნობების გამოყენებით იცნობდა ხოლმე. შემდეგ თავად სარქისოვი ან ნადარაია მათ გარეგნობას „აფასებდნენ“ და მოწონებისა და სათანადო მოლაპარაკების შემდგომ, ღამღამობით ბერიასთან ბინაზე ან აგარაკზე მიჰყავდათ.

სასამართლოზე ბერიას კიდევ ერთ ბრალად წაუყენეს **ლუდვილა შლიუგერის** გაუპატიურება, რომლის ქმარი — შს სამინისტროს ინსპექტორი, 1953 წელს ნაციონალისტური გამონათქვამების გამო დაიჭირეს, მაგრამ ორ თვეში გაათავისუფლეს. ქალის ჩვენებით, მას შემდეგ, რაც მან ბერიას დეპეშით დაბადების დღე მიულოცა, იგი სახლში მიიპატიჟა და საყვარლად გაიხადა. ქალი ამ ჩვენებას რომ იძლეოდა, მისი ქმარი უკვე ხელმეორედ იყო დაჭერილი, ოღონდ ამ ჯერზე ბერიას საქმეზე, რომლის დახვრეტის შემდეგ იგი გათავისუფლეს, თადარიგში გაუშვეს, პოლკოვნიკის პენსიაც შეუნარჩუნეს და ბერიას დახმარებით მიღებული კარგი ბინაც დაუტოვეს...

კიდევ ერთი ამბავი მეორეხარისხოვანი თეატრის მსახიობ ქალს, 23 წლის **ვალენტინა ჩიჟოვას** უკავშირდება, რომელმაც ბერიას დაპატიმრების შემდეგ ნიკიტა ხრუშჩოვს მისწერა, რომ ბერიამ იგი გააუპატიურა უშიშროების სამინისტროს გადამდგარი გენერალ-მაიორის მარკ მიჩურინ-რავერის ოჯახში. გამოძიების ვერსიით, ეს გადამდგარი სამხედროც იგივე ფუნქციებს ასრულებდა, როგორსაც სარქისოვი და ნადარაია, პატრონთან ქალები მიჰყავდა. ჩიჟოვას განცხადებით, ბერია მისი პირველი მამაკაცი იყო, სარქისოვს მასთან იგი რამდენიმე კვირის მანძილზე დაჰყავდა, რის შემდეგაც მან თავისით მუცელიც კი მოიშალა. სასამართლოზე ბერიამ ეს ფაქტი აღიარა, თუმცა გაუპატიურება უარყო. არადა, ბერიასთან „ნაცნობობის“ შემდეგ ჩიჟოვა ჯერ კომკავშირში მიიღეს, მერე პასპორტი მისცეს, შემდეგ იმავე მიჩურინ-რავერის ოჯახში ჯერ გაიცნო და შემდეგ ცოლად გაჰყვა შს სამინისტროს თანამშრომელ **გიორგი მამულოვს,** რომლის ღვიძლი ძმა **სტეფანე,** ბერიას მოადგილე იყო! ბოლოს კი მექანიკოს-ელექტრიკოსმა მამულოვმა და ნაკლებად ცნობილმა მსახიობმა ჩიჟოვამ 1950 წელს გორკის ქუჩაზე ბინა მიიღეს. 1953 წელს კი, როცა ჩიჟოვა ბერიას წინააღმდეგ ჩვენებას იძლეოდა, მისი ქმარი შს სამინისტროდან დაითხოვეს, მაზლს კი 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

ათი წლით პატიმრობა მარკ მიჩურინ-გრავერსაც მიუსაჯეს, ამდენივე მიესაჯათ რაფაელ სარქისოვსა და სარდიონ ნადარაიას. ისიც უნდა ითქვას, რომ ყველანი არა ოღრაშობისთვის, არამედ სხვა დანაშაულობებისთვის გაასამართლეს, რომელიც მათ შინსახკომის ციხეებში მუშაობას, კერძოდ, უდანაშაულოთა დაპატიმრებებს, მათ წამებას და ა.შ. უკავშირდებოდა. ბერიას მექალთანეობა კი სასამართლოს რეალურ დანაშაულთა ერთგვარ ფონად სჭირდებოდა.

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ
გაზეთ „სოვერშენნო სეკრეტნოს“
მასალების მიხედვით

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

მამუკა გორგოძე - მსოფლიო ნაკრებში

პოპულარულმა ბრიტანულმა სარაგბო ინტერნეტ-გამოცემა ruck.com-მა მსოფლიოს ყველა დროის სიმბოლური ნაკრები შეადგინა, ოღონდაც მისი წევრების შერჩევისას არა მათი სათამაშო თვისებებით, წარმატებულობით, ტიტულებით ან რაიმე სხვა ნიშნით იხელმძღვანელა, არამედ უბრალო, ჯიუტი და შეუვალი ციფრებით.

გამოცემის ჟურნალისტებმა დათვალეს, ტესტ-მატჩებში რომელი ამპლუისა და კონკრეტული ფუნქციის რომელ მოთამაშეს ჰქონდა გატანილი სხვებზე მეტი ლელო. აღმოჩნდა, რომ მხტომელის (№4 და №5) პოზიციის მორაგბეთაგან პლანეტაზე ყველაზე მეტი სანაკრებო ლელო საქართველოს გუნდის ყოფილი კაპიტნის მამუკა გორგოძის ანგარიშზეა — 26!

მართალია იგი უნივერსალია და ბორჯღალიანი კვართით ლელოების დიდი ნაწილი მესამე ხაზში თამაშის პერიოდში აქვს მითვლილი, მაგრამ მრავალი წელია, იშვიათი გამონაკლისების გარდა, შერკინების მეორე ხაზში იბრძვის, თანაც ruck.com-ის სიმბოლური ნაკრების მეორე ხაზში მის პირობით მეწყვილესა და, შესაბამისად, ასევე გამორჩეულ მელელოვეს, 4 მსოფლიო თასის მონაწილე არგენტინელ პედრო სპორლედერს მხოლოდ 14 ლელო აქვს გატანილი 13-წლიანი სანაკრებო კარიერის განმავლობაში. ამიტომ მამუკას უნივერსალიზმი არანაირ ჩრდილს არ აყენებს მის ფენომენურ შედეგს — 26 ლელოს 69 თამაშში!

აქვე გაეცანით ruck.com-ის მელელოვეთა ყველა დროის სიმბოლური ნაკრების სრულ შემადგენლობას:

15. კრისტიან კალენი (ახალი ზელანდია) — 46,
14. დაისუკე ოჰატა (იაპონია) — 69,
13. ბრაიან ოდრისკოლი (ირლანდია) — 47,
12. უილ გრინვუდი (ინგლისი) — 31,
11. ბრაიან ჰაბანა (სამხრეთ აფრიკა) — 67,
10. დენ კარტერი (ახალი ზელანდია) — 25,
9. იოს ვან დერ ვესტჰეიზენი (სამხრეთ აფრიკა) — 38,
1. კეის მიუვსი (ახალი ზელანდია) — 10,
2. კით ვუდი (ირლანდია) — 15,
3. მარტინ კასტროჯოვანი (იტალია) — 12,
4. მამუკა გორგოძე (საქართველო) — 26,
5. პედრო სპორლედერი (არგენტინა) — 14,
6. ტაკაში კიკუტანი (იაპონია) — 32,
7. რიჩი მაკქოუ (ახალი ზელანდია) — 26,
8. დიეგო ორმაეჩეა (ურუგვაი) — 41.

კობა კობახიძე

◎ კალათბურთი

სეზონი მარცხით დაასრულა

„გოლდენ სტეიტ უორიორზმა“ ნბა-ს რეგულარული ჩემპიონატი დაასრულა. ბოლო, 82-ე მატჩი ოკლენდელებმა „იუტა ჯაზთან“ სოლტ ლეიკ სიტიში გამართეს და 40 ქულით განადგურდნენ — 79:119. ზაზა ფაჩულიას გუნდმა რეგულარული სეზონი 58 მოგებითა და 24 მარცხით დაასრულა და დასავლეთ კონფერენციაში „ჰიუსტონის“ შემდეგ მეორე ადგილი დაიკავა.

„ჯვაროსანთა“ ყოფილმა კაპიტანმა სასტარტო ხუთულში ითამაშა და 13 წუთში 4 ქულა, 6 მოხსნა და 2 პასი მოაგროვა. ქართველმა ცენტრმა 3-დან 1 ორქულიანი და 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო. მეტოქეთაგან მისმა ოპონენტმა რუდი გობერმა 28 წუთში 13 ქულა და 4 მოხსნა მიითვალა. სტუმრებმა კატასტროფული სხვაობით წააგეს, რაც საფუძვლიან ეჭვს აჩენს საიმისოდ, რომ მათ თავი არ მოუკლავთ — ამ მატჩის შედეგი მაინც არაფერს ცვლიდა მოქმედი ჩემპიონისთვის.

„გოლდენ სტეიტი“ პლეი ოფის პირველ წრეში დასავლეთ კონფერენციაში მე-7 ადგილზე გასულ „ნიუ ორლეანს“ შეხვდება.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფეხბურთი

სამეფო კარის თამაშები

ჩემპიონთა ლიგის საპასუხო მეოთხედფინალურ რაუნდში „სამეფო კლუბს“ დაცვის ბურჯი სერხიო რამოსი აკლდა, ხოლო „ბებერ ქალბატონს“, — გუნდის ლიდერი და შეტევათა სულისჩამდგმელი პაულო დიბალა. ვინ მოიგო ასეთი საკადრო დეფიციტით, ტაბლოდანაც კარგად ჩანს, თუმცა, არის ერთი ისეთი ნიუანსი, რომელიც თითქმის ყოველთვის „სანტიაგო ბერნაბეუს“ ბინადართა მოკავშირეა. დიახ, მსაჯებს ვგულისხმობთ, რომლებიც ხშირად ისეთ მომენტში უსტვენენ ესპანური გრანდის სასარგებლოდ, როცა ბრძოლის ბედი წყდება.

ზოგადი საუბარი რომ არ გამოგვიდეს, თუნდაც შარშანდელი ფაქტი გავიხსენოთ, როცა პირენეებზე მიუნხენის „ბაიერნი“ დაიჩაგრა. თუმცა, ის, რაც ტურინის „იუვენტუსთან“ კასტილიაში გამართული სარევანშო დუელის დამატებულ წუთებზე ინგლისელმა შაოსანმა მაიკლ ოლივერმა იკადრა, სცილდება ჩვეულებრივი ადამიანური შეცდომის ზღვარს, რისგანაც არავინაა დაზღვეული და საკონტროლო გასროლის კვალიფიკაციას უფრო მიესადაგება.

რასაკვირველია, კონტინენტის ყველაზე ტიტულოვანი კრებულის სიდიადეს არავინ უარყოფს, მაგრამ მას, თუნდაც როგორც „სამეფო კლუბს“, დახმარება ნამდვილად არ სჭირდება, მით უმეტეს — საკუთარ მინდორზე. და იცით, რატომ? — იმიტომ, რომ ის ევროპული საკლუბო ფეხბურთის გვირგვინოსანია. ამით, დაგვეთანხმებით, ყველაფერია ნათქვამი.

„რეალი“ — „იუვენტუსი“ 1:3
(პირველი მატჩი 3:0)

გოლები: რონალდუ (პენალტით); მანჯუკიჩი (2), მატუიდი.

გაძევება: ბუფონი („იუვენტუსი“).

„ბაიერნი“ — „სევილია“ 0:0
(პირველი მატჩი 2:1)

ამრიგად, წლევანდელი სეზონის საუკეთესო კვარტეტი „რეალმა“, „ბაიერნმა“, „რომამ“ და „ლივერპულმა“ შეადგინეს. თუ როგორ დაწყვილდებიან ისინი ნახევარფინალში, ამას დღეს 15 საათზე დანიშნული კენჭისყრით შევიტყობთ.

გიორგი შოთაძე

◎ ჩოგბურთი

დიდი სლემის 12-გზის ჩემპიონს ნოვაკ ჯოკოვიჩს ისევ მარიან ვაიდა მოამზადებს. აღნიშნულ ინფორმაციას ბრიტანული მედია ავრცელებს.

ისევ მარიან ვაიდა

რამდენიმე კვირის წინათ სერბმა ერთბაშად ორ მწვრთნელთან — რადეკ შტეპანეკთან და ანდრე აგასისთან შეწყვიტა ურთიერთობა.

ვაიდა ნოვაკს 2006/17 წლებშიც ავარჯიშებდა და მასთან ერთად უამრავ წარმატებას მიაღწია.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ინტერნეტიდან

ბრიტანელებმა მოხიბლეს

ისლანდიელი მოდელი ედა ოსკარსი, რომელმაც ბედი კინემატოგრაფიაშიც წარმატებით სცადა, განსხვავებით სხვა ქვეყნების მკვიდრ კოლეგათაგან, მისი მშობლიური ქვეყნის საფეხბურთო ნაკრებზე მეტად ინგლისის გუნდს ქომაგობს, საყვარელ კლუბად კი ასევე ალბიონური „ლივერპული“ აურჩევია.

ლამაზმანის ბრიტანელებით ასეთ მოხიბვლას, ცხადია, თავისი მიზეზებიც აქვს. მისი დედა წარმოშობით ინგლისიდან გახლავთ და, როგორც ჩანს, შვილს მისი სამშობლოთი ტკბობა განსაკუთრებულად ჩააგონა, ეს ყველაფერი კი საბოლოო ჯამში ედა ოსკარსის საფეხბურთო გემოვნებაშიც მშვენივრად გამოიხატება.

ისლანდიელი მოდელი „ლივერპულის“ ბოლოდროინდელი წარმატებებით იმდენად კმაყოფილი, გახარებული და ბედნიერია, რომ იძახის — თავი სიზმარში მგონია და ისიც აღარ გამიკვირდება, „წითლები“ ევროპის უპირველეს თასს თუ დაეუფლებიანო. მადა რომ ჭამაში მოდის, როგორც ჩანს, ისლანდიაშიც კარგად უწყიან...

როსტომ რაჭველიშვილი

მოსაგონარი

ავთანდილ კორძაძე

ორმოცი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც გეოფიზიკურმა მეცნიერებამ მძიმე დანაკლისი განიცადა — 73 წლის ასაკში გარდაიცვალა გეოფიზიკური მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენელი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტის ზღვისა და ატმოსფეროს გეოფიზიკური პროცესების მათემატიკური მოდელირების სექტორის ხელმძღვანელი, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ვიცეპრეზიდენტი, აკადემიკოს მერაბ ალექსიძისა და მიხეილ ნოდიას სახელობის პრემიების ლაურეატი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ავთანდილ კორძაძე**.

ა. კორძაძე დაიბადა 1944 წლის 7 ნოემბერს ქ. ქუთაისში ცნობილი მათემატიკოსის, პედაგოგიური ინსტიტუტის ერთ-ერთი დამაარსებლის ალექსანდრე (შურა) კორძაძის ოჯახში. ქ. ნოვოსიბირსკის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის მე-3 კურსიდან ბატონი ავთანდილის სამეცნიერო საქმიანობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული სსრკ მეცნიერებათა აკადემიის უკანასკნელი პრეზიდენტის, აკადემიკოს გ. ი. მარჩუკის სახელთან, რომლის ხელმძღვანელობით მან განვლო მეტად ნაყოფიერი გზა უნივერსიტეტის სტუდენტობიდან ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორამდე.

1967-1984 წწ.-ში ა. კორძაძე მუშაობდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების გამოთვლით ცენტრში (ქ. ნოვოსიბირსკი, აკადემქალაქი), ხოლო 1987 წელს იგი აკად. მარჩუკის მიწვევით გადაყვანილ იქნა ქ. მოსკოვში, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებულ გამოთვლითი მათემატიკის განყოფილებაში (ამჟამად, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი) უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე.

ა. კორძაძის სამეცნიერო შრომებმა შავი ზღვის ჰიდროდინამიკური პროცესების მათემატიკური მოდელირების დარგში ფართო აღიარება მოიპოვეს. მის შრომებში განიხილება როგორც სუფთა თეორიული, ასევე გამოყენებითი ასპექტები. პრაქტიკული თავალსაზრისით, მეტად მნიშვნელოვანია მისი აქტიური მონაწილეობით შემუშავებული შავი ზღვის დინამიკის პირველი არასტაციონარული მათემატიკური მოდელი, რომელიც დაფუძნებული იყო ოკეანის ჰიდროთერმოდინამიკის სრულ განტოლებათა სისტემაზე.

1989 წლიდან პროფ. ავთანდილ კორძაძის სამეცნიერო საქმიანობა მჭიდროდ დაუკავშირდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტს, სადაც სიცოცხლის ბოლომდე სათავეში ედგა მის მიერვე დაარსებულ ზღვისა და ატმოსფეროს გეოფიზიკური პროცესების მათემატიკური მოდელირების სექტორს. ამ პერიოდში მოხდა შავი ზღვის დინამიკის მოდელის შემდგომი სრულყოფა და ადაპტირება შავი ზღვის საქართველოს სექტორისა და მიმდებარე აკვატორიისათვის, ხოლო ამ მოდელის ბაზაზე, ევროკავშირის საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური პროექტების ფარგლებში შემუშავებულ იქნა შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილის რეგიონული პროგნოზის სისტემა, რომელიც ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია შავი ზღვის მდგომარეობის დიაგნოზისა და პროგნოზის სისტემისა მთელი აუზის მასშტაბით. რეგიონულ პროგნოზულ სისტემასთან დაკავშირებულ ნაშრომთა ციკლისათვის 2012 წელს ა. კორძაძეს მიენიჭა მიხეილ ნოდიას სახელობის აკადემიური პრემია.

1997 წლიდან ა. კორძაძე იყო მთავარი რედაქტორი საქართველოს გეოფიზიკური საზოგადოების ჟურნალისა „სერია ბ — ატმოსფეროს, ოკეანისა და კოსმოსური სხივების ფიზიკა“. 2004 წლიდან იგი იყო საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალის „экология окружающей среди и безопасность жизнедеятельности“(კიევი, უკრაინა) სარედაქციო საბჭოს წევრი. 2014 წლიდან ა. კორძაძე ევროპის გეომეცნიერებათა კავშირის წევრი იყო.

ა. კორძაძე ავტორია 170-მდე სამეცნიერო ნაშრომისა, მათ შორის 5 მონოგრაფიისა (3 თანაავტორობით). მისი ხელმძღვანელობით დაცული იყო 4 საკანდიდატო და 3 სადოქტორო დისერტაცია. გარდა მეცნიერული მუშაობისა, იგი მრავალი წელი ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

2016 წელს იგი დაჯილდოვდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედლით.

გულდასაწყვეტია ის, რომ ბატონი ავთანდილის სიცოცხლე შეწყდა იმ დროს, როდესაც იგი ჯერ კიდევ აღსავსე იყო დიდი ენერგიითა და შრომისუნარიანობით. იყო საოცრად მოსიყვარულე და გამორჩეულად მზრუნველი მამა და ბაბუა, ცხოვრებისეული პრობლემებით შეჭირვებულ ადამიანთა ქომაგი და არაერთი მეგობრისათვის საიმედო დასაყრდენი.

დარწმუნებული ვართ, ავთანდილ კორძაძის ნათელი ხსოვნა დაუვიწყარი იქნება და მუდამ დარჩება მის შთამომავლებში, სანათესაოში, სამეგობროში, კოლეგებსა და ნაცნობებში.

მსუბუქი იყოს მისთვის და მისი მეუღლე რუსუდან ორჯონიკიძისთვის მშობლიური ქართული მიწა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტი; უახლოესი მეგობრები და კოლეგები.

სკოლების მშენებლობას და რეაბილიტაციას მუნიციპალიტეტებმა უნდა მიხედონ

ამიერიდან სკოლებში არსებული ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარება ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს მოუწევთ. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ საკუთარი უფლება-მოვალეობების ნაწილი თვითმმართველობებს გადააბარა. რა სახსრებით აშენდება სკოლები და როგორ შეხვდნენ სიახლეს კახეთში?

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ სკოლების მშენებლობისა და რეაბილიტაციის საკითხი ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს გადასცა. შესაბამისად,ადგილობრივი ხელისუფლების გადასაწყვეტი იქნება, სად რომელი სკოლა აშენდეს ან რომელს რეაბილიტაცია ჩაუტარდეს. სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორის მოადგილე **გიორგი თინაძე** გვეუბნება, რომ მათი უწყება მხოლოდ იმ პროექტებს დაასრულებს, რომლებიც უკვე დაწყებულია ან ტენდერია გამოცხადებული.

„სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაცია გადავიდა მუნიციპალიტეტის გამგეობებში, ანუ ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა მოახდინოს ახალი სკოლების მშენებლობა და ძველის რეაბილიტაცია. ჩვენ გამგეობებს ჩვენს ხელთ არსებულ ინფორმაციას და დამუშავებულ პროექტებს გადავცემთ... დანარჩენი უკვე მათი პრეროგატივაა“.

ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ წინუბანში, 14 წელია, საჯარო სკოლის აშენებას ითხოვენ. სკოლის ყოფილი ავარიული შენობა დაინგრა. მოსწავლეები განათლებას ახლა სოფლის კულტურის სახლის ყოფილ შენობაში იღებენ, სადაც არასათანადო პირობებია. როდის აშენდება წინუბანში სკოლა, ახლა ამ შეკითხვას პასუხი ახმეტის მერიამ უნდა გასცეს. მერი იოსებ ქარუმაშვილი ამბობს, რომ წინუბნის გარდა ახმეტაში კიდევ რამდენიმე სკოლაა, სადაც, მისივე სიტყვებით, „კატასტროფული მდგომარეობაა“. ახმეტის მერი განმარტავს, რომ, მართალია, სკოლებში არსებული პრობლემების მოგვარება მათი პრეროგატივა ხდება, მაგრამ თანხას განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გადაიხდის:

„სამინისტრო ამ ეტაპზე 200 000 ლარს გვაძლევს, რომელიც უნდა გადავანაწილოთ ისეთ კატასტროფულ სკოლებზე, როგორიც არის, თუნდაც, წინუბნის სკოლა. ახმეტაში გვაქვს კიდევ ახაშენის სკოლა, რომელიც ძალიან მისახედია. მუნიციპალიტეტებს სკოლების ინფრასტრუქტურული ნაწილი, ალბათ, იმიტომ გადმოგვეცა, ასეთ საკითხებზე ყურადღება გავაუმჯობესოთ. ჩვენი სამსახურები უფრო გამოცდილები არიან, ვიდრე სკოლის დირექტორები“.

ძალიან საინტერესოა, როგორ შეხვდა თითოეული მუნიციპალიტეტი ამ ვალდებულებას. ვფიქრობ, განათლების სამინისტროს ინფრასტრუქტურის სააგენტოს ზედამხედველობის ფუნქცია დაეკისრება.

სიახლე, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ სკოლებში არსებული ინფრასტრუქტურული საკითხები ადგილობრივ ხელისუფლებას გადააბარა, ცნობილია სახალხო დამცველის აპარატისთვის, სადაც, თავის მხრივ, სკოლებში არსებულ ინფრასტრუქტურულ პრობლემებს მუდმივად სწავლობენ და ანგარიშებს ამზადებენ. სახალხო დამცველის 2017 წლის საპარლამენტო ანგარიშის მიხედვით, მხოლოდ კახეთში 17 სკოლაა, სადაც მოსწავლეებს განათლების მიღება ავარიულ სკოლაში უხდებათ. როგორც ომბუდსმენის ბავშვთა უფლებების ცენტრის უფროსმა **მაია გედევანიშვილმა** გვითხრა, მისთვისაც საინტერესოა, როგორ შეხვდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები სამინისტროს გადაწყვეტილებას და რა რესურსით იგეგმება სკოლების მშენებლობა:

„მუნიციპალიტეტების სკოლებში არსებულ ინფრასტრუქტურულ პრობლემებზე გამგეობამ უნდა იზრუნოს. ძალიან საინტერესოა, როგორ შეხვდა თითოეული მუნიციპალიტეტი ამ ვალდებულებას. ვფიქრობ, განათლების სამინისტროს ინფრასტრუქტურის სააგენტოს ზედამხედველობის ფუნქცია დაეკისრება“.

აღსანიშნავია, რომ კახეთში ადგილობრივი ხელისუფლების დაქვემდებარებაშია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები. ბაგა-ბაღებში ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარებისთვის თანხები ადგილობრივ ბიუჯეტშია გათვალისწინებული, თუმცა ფულის სიმცირის გამო ბაღების დიდ ნაწილში, განსაკუთრებით კი რეგიონის სოფლებში, ინფრასტრუქტურული პრობლემები ვერ გვარდება.

გიორგი ალადაშვილი

რუსთავში შეიარაღებული არასრულწლოვნები ლომბარდში შეიჭრნენ

რუსთავში ლეონიძის ქუჩაზე მდებარე ტექნიკის ლომბარდში ორი არასრულწლოვანი შეიჭრა. არსებული ინფორმაციით, მათგან ერთ-ერთმა, რომელსაც ხელში დანა ეჭირა, ფეხის დარტყმით დააზიანა ლომბარდის შიდა კედელი და თანამშრომელისგან გარეთ გასვლას მოითხოვდა. არსებული ინფორმაციით, თავდამსხმელები რამდენჯერმე ნასამართლევი არასრულწლოვნები არიან. შსს-ს ინფორმაციით, შემთხვევა ორი დღის წინ მოხდა და ცხელ კვალზე დაკავებულია ერთი პირი. თავდაპირველად გამოძიება ნივთის დაზიანებისა და განადგურების — 187-ე მუხლით დაიწყო, მოწმეების გამოკითხვისა და დაკითხვის შემდეგ კი გადაკვალიფიცირდა და გამოძიება ამჟამად სისხლის სამართლის 239-ე მუხლით მიმდინარეობს.

დაჭრა თბილისში

ფანასკერტელის ქუჩაზე ცეცხლსასროლი იარაღით 45 წლის მამაკაცი დაჭრეს. მას ჭრილობა ყელის არეში აქვს მიყენებული. დაჭრილი სასწრაფო დახმარების ბრიგადამ რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანა.

არსებული ინფორმაციით, დაჭრას წინ უძღოდა შელაპარაკება ახალგაზრდებს შორის. თვითმხილველების ინფორმაციით დაჭრილი მამაკაცი კონფლიქტში არ მონაწილეობდა და მას ტყვია შემთხვევით მოხვდა. ადგილზე რამდენიმე საათის განმავლობაში ექსპერტ-კრიმინალისტები მუშაობდნენ. მომხდარზე სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის მცდელობის მუხლით აღიძირა.

რატომ არ უყვარს ანგელა მერკელს რუსული ენა?!

რუსეთის რკინიგზის დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელი ვლადიმირ იაკუნინი განმარტავს, თუ რატომ განიცდის გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი რუსების მიმართ ანტიპათიას.

მან აღნიშნა, რომ მერკელი დაიბადა გერმანიის აღმოსავლეთ ნაწილში და თავისუფლად საუბრობს რუსულად, თუმცა შეხვედრებზე ყოველთვის თარჯიმნის დახმარებით სარგებლობს. იაკუნინი მიიჩნევს, რომ კანცლერს ეშინია რუსული ენის, მას ფობია აქვს და ეს ეჭვი დამტკიცდა მასთან საუბრისას.

— ანგელამ დაამტკიცა ჩემი ეჭვი რუსული ენის ფობიასთან დაკავშირებით. ის ერთხელ შემომეგება, პირდაპირ რუსულად დამიწყო საუბარი და მითხრა, რომ მართალი ვარ. მე მართლა მეშინია რუსული ენის. ბავშვობაში საბჭოთა სამხედრომ ჩემი ველოსიპედი მოიპარა, მას შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ ანტიპათიურად ვარ განწყობილი რუსულის მიმართ, — ციტირებს ავტორი.

გუგული მახარაძე — 84 წლის გიდი აჭარაში

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარემ სულხან ღლონტმა აჭარაში ღვაწლმოსილი გიდი გუგული მახარაძე მოინახულა და მას რეგიონში ტურიზმის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის მადლობის სერტიფიკატი გადასცა. გუგული მახარაძე 30 წლის განმავლობაში აჭარის სტუმრებს რეგიონის ტურისტულ პოტენციალს აცნობდა. ის იყო ერთ-ერთი პირველი სერტიფიცირებული გიდი რეგიონში, რომელსაც 84 წლის ასაკშიც დეტალურად ახსოვს აჭარის კულტურული თუ ტურისტული ღირსშესანიშნაობების ისტორია და მნიშვნელობა. პროფესიით ფილოლოგმა გიდად მუშაობა 25 წლის ასაკში დაიწყო.

„ნამდვილი ცხოვრება მე ვნახე მაშინ, როცა გიდად დავიწყე მუშაობა. ეს არის ძალიან დიდი თანამდებობა, რადგან ცოცხალ ადამიანებთან გაქვს საქმე, არ იცნობ მათ და უნდა შეაყვარო შენი ქვეყანა. კარგად მახსოვს პირველი ექსკურსია. ეს იყო 1963 წლის 1 მაისი. ბათუმში შემოვიდა გემი „პენსილვანია“, რომელმაც ტურისტთა ჯგუფი შემოიყვანა ქალაქში. მაშინ გიდებს ძალიან დიდი პატივისცემით გვეპყრობოდნენ, ჩვენ ვიყავით ქვეყნის სახე და მთავარი რგოლი ტურისტებთან ურთიერთობაში,“ იხსენებს გუგული მახარაძე.

„ძილის ჭრფიალი“ თირკმლები

ამერიკელმა სპეციალისტებმა აღმოაჩინეს, რომ ძილის ნაკლებობა არა მარტო დეპრესიას იწვევს და იმუნიტეტს ასუსტებს, არამედ თირკმლების მუშაობასაც აუარესებს.

პაციენტებს, ვისაც დღე-ღამეში 6 საათზე ნაკლები ეძინათ, თირკმელთა უკმარისობა ათჯერ უფრო ხშირად უვითარდებოდათ იმათთან შედარებით, ვისაც სრულფასოვნად ეძინათ. საგულისხმოა ისიც, რომ ძილის თითო დამატებითი საათი თირკმლებთან დაკავშირებულ გართულებათა ალბათობას 19 პროცენტით ამცირებს.

ერთის მაგივრად ორი გვარი

ევროპულ ფეხბურთში უამრავი მსოფლიო დონის ვარსკვლავი იყო და ამჟამადაც არის, მაგრამ ზოგიერთი სპორტსმენი ისტორიაში არა თავისი ოსტატობის წყალობით, არამედ რაღაც სხვა, კურიოზული ნიშნით მოხვდა.

მაგალითად, ყველაზე გრძელი გვარი ჰოლანდიის ნაკრების ყოფილ მოთამაშეს იან ვენნეგორ ან ჰესსელინკს ჰქონდა. ეს გვარი მე-17 საუკუნეში წარმოიშვა, მას შემდეგ, რაც ორი გლეხური ოჯახი — **ვენეგორებისა** და **ჰესსელინკების** — ერთმანეთს დაუნათესავდა. სოფელში მდგომარეობითაც და შეძლებითაც ოჯახები ერთმანეთის თანასწორნი იყვნენ, ამიტომაც გვარების გაერთიანება გადაწყდა, ოღონდ არა დეფიზით, არამედ „ოფ“ კავშირით, რაც „ანუ“-ს ნიშნავს.

თანასწორუფლებიანობის რეცეპტი

ესპანური ბატონობიდან პარაგვაის გათავისუფლების შემდეგ, ხელისუფლების სათავეში დიქტატორი ხოსე გასპარ როდრიგეს დე ფრანსია მოვიდა.

მისი იდეალი ქვეყანაში დახურული ერთგვაროვანი საზოგადოების შექმნა იყო, რა მიზნითაც ესპანურენოვან მოსახლეობას აუკრძალეს ერთმანეთზე დაქორწინება და დაუდგინეს, რომ მეუღლე აუცილებლად ადგილობრივი ინდიელი გუარანი, ან შავკანიანი, ანდა მულატი უნდა ყოფილიყო.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

გასაცინებელი ა(მ)ბები

გააჩნია

— რაო შენმა ქმარმა, როგორც აუცილებლობას, ისე განგიხილავს თუ როგორც ფუფუნებას? — ჰკითხა ახალგაზრდა დაქალმა ახალგათხოვილ დაქალს.

— გააჩნია, თუ ღილი ასწყდა, მაშინ აუცილებელი ვარ, ხოლო თუ რამე მაქვს საყიდელი, ცოტა ძვირიანი, მაშინ ფუფუნება.

უძილობის წამალი

მათემატიკის პროფესორი თავის კაბინეტში მუშაობს, ცოლი კი საძინებელში უნანავებს ორი წლის ვაჟიშვილს. ბოლოს, გაბეზრებული ქმართან შედის: რა ვქნა, ვერა და ვერ დავაძინე ბავშვიო.

— ათასამდე დაათვლევინე, — ეუბნება პროფესორი სამუშაოსგან მოუწყვეტლივ, — თუ ამანაც არ უშველა, მაშინ ფესვი ამოაღებინე.

სიყვარული და ცხოვრება

— საყვარელო, გინდა ჩემი ცოლობა?

— არა.

და იმათ მთელი სიცოცხლე ბედნიერად იცხოვრეს.

დანტისტთან

დიდი წვალების შემდეგ, როგორც იყო, ექიმმა კბილმტკივანს ამოაძრო კბილი.

— რამდენი უნდა გადაგიხადოთ? — ჰკითხა კბილმოძრობილმა ყბაზეხელმიდებულმა ექიმს.

— 400 ზლოტი.

— ოპერაციის წინ თქვენ ასი მითხარით!

— კი, მაგრამ თქვენმა ყვირილმა მისაღებიდან სამი პაციენტი გაიქცია.

თითქმის ნოქტიურნი

ხნიერი მამაკაცი დილის სამ საათზე ტელეფონის ზარმა გააღვიძა.

— თქვენი მეზობელი ვარ. ერთი სართულით მაღლა ვცხოვრობ. თქვენი ძაღლის ყეფა არ მაძინებს. იმედია, დააწყნარებთ.

მეორე დღეს შუაღამისას მეზობლის ბინაში ტელეფონმა დარეკა.

— თქვენი მეზობელი ვარ, ერთი სართულით ქვემოთ ვცხოვრობ. გუშინ თქვენ გამაღვიძეთ, ჩემი ძაღლის ყეფას უჩიოდით, არ მაძინებსო.

— დიახ, მე ვიყავი.

— იცით, რა, იმიტომ დაგირეკეთ, რომ გაცნობოთ, ძაღლი არცა მყავს და არც არასოდეს არა მყოლია.

მუზეუმში

მოწაფეები ათვალიერებენ ისტორიული მუზეუმის ექსპონატებს. ორი ბიჭუნა ფარაონის მუმიასთან ჩერდება.

— შეხედე, ამბობს ერთი, — მთლად შებანდულია.

— ვხედავ, — ეთანხმება მეორე, — ეტყობა, ძველმა ეგვიპტელმა ხულიგნებმა მაგრად შეახვიეს.

სწორი ანგარიში

ოფიციანტს რესტორნიდან გაჯიუტებული მოქალაქე გამოჰყავს.

—რად გაგყევარ, — გაცეცხლებულია მოქალაქე, მე კი არა, ის უნდა გაგეყვანა, ვინც ჩხუბი ატეხა.

— შენ უკვე გადახდილი გაქვს. იმას კი ანგარიში ჯერ არ გაუსწორებია.

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4008; ევრო - 2.9712;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4075;
100 რუბლი - 3.7483; თურქული ლირა - 0.5793;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4193;
1000 სომხური დრამი - 4.9737.

ამინდი 13 აპრილისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +8,	დღე +23
მთიანი რაიონები -	ღამე +4,	დღე +18
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +7,	დღე +22
მთიანი რაიონები -	ღამე +5,	დღე +18
თბილისი:	ღამე +11,	დღე +22

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge